ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიაღვერი

21-22

ნოემბერი 1991

ნახ. მ. აბაშიძისა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 74-ე წლისთავი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულწრფელ სურვილთა აკიდო

რა მინდა, ან რას მიველტვი, იხეც გამიგებთ, ვიცი მე,
სიწრფელის დასამტკიცებლად არ დამჭირდება ფიცი მე.
მხოლოდ სიკეთეს ვესწრაფვი, მერწმუნეთ, თქვენი ჭირიმე,
შური და ღვარძლი რად სუფევს? — მაწუხებს, მაკრთობს ფიქრი მე.
ყველგან სრულყოფის მომხრე ვარ, არვისთვის მინდა ძვირი მე.
ახლა კი მინდა გაგაცნოთ ჩემნი ალალნი სურვილნი:
მინდა ნათელში ცურავდეს, რაც ბნელით არის ბურვილი,
სამშობლოს, სოფელს თუ ქალაქს, ერთიც არ ყავდეს გულგრილი,
მხოლოდ სიმართლე სუფევდეს, არვის ეკადროს ტყუილი,
ბოლო მოეღოს სუყველგან უწესრიგობას, რუტინას,
სითბო შევმატო უგრძნობელს, სულნამცეცას და გულრკიშს,
არ ბობოქრობდეს ამქვეყნად პროვოკატორთა ლაშქარი
და არ ისმოდეს აღარსად უსაქმურების ხარხარი,
არ ღალატობდეს ქმარი ცოლს, ცოლი ქმრის იყოს ერთგული,
სუყველა იყოს გამრჯელი, მამულისათვის რგებული,
ამოიძირკვოს ციინიზმი, ნიჰილიზმი და ბეზღობა,
გულში არ ედოს არავის ერთმანეთისა ბეზრობა,
თავს არა გრძნობდეს თამამად ღვარძლის და შხამის მთესველი,
ფრთებს არა შლიდეს ამაყად მატყუარა და მკრეხელი,
სიძულვილის და სიშმაგის, თეთრი სიკვდილის მთესველი,
არ პარპაშებდეს აღარსად ძალა, ზნეობის მნგრეველი,
მლიქვნელი ტიკი-ტომარა, უღირსთა მაამებელი,
ლაჩარი, შარახვეტია, წუწურაქი და მხვეჭელი,
ნაცარმტვრად იქცეს ბოროტი, რეგვენთა გამბედაობა,
შური, მტრობა და სიგლახე, მოძმეთა დაუნდობლობა,
მოყვრის, ახლობელ-მეზობლის, მეგობართ გაუტანლობა,
სიკეთის ქმნისთვის არასდროს არ დავიშუროთ მადლობა,
სირცხვილის ალმა დადაგოს ყველა ხეპრე და უქნარა,
კაცთ ბაგეს არა წყდებოდეს ცილისწამება, მუქარა,
ჩირქს არა სცხებდეს ღირსეულთ ოინბაზი და ხუმარა,
მოისპოს თოთლიბაზობა, ნათელს ვერ ცვლიდეს სუდარა,
წარსულს ჩაბარდეს სიმუნჯე, ვერაგობა და სიბეცე,
სიპირუტყვე და სიცრუე, სიცბიერე და სიმხეცე,
ბოლო მოეღოს კაცთმოდგმის შრომისგან გაუცხოებას,
მხარი ავუბათ ეპოქის მაჯისცემას და ცხოვრებას,
მთა-ბარად ზღვისებრ გადმოსკდეს სიმხნე, სიუხვე, სიმდიდრე,
ყველგან სუფევდეს მხარგაშლით სათნოება და სიმშვიდე,
არ აწუხებდეს არავის დეფიციტი და ხიძვირე,
ლაღად გაქუხდეს სიმღერა: „იდიდე, მამულო, იდიდე!“
მხარი მხარს მივცეთ, და-ძმანო, წინაა მთელი სიცოცხლე!
გარჯა მოგველის ულევი და სახახელო, იცოდეთ!

ზალვა გულუა

...ბიჭაპურის ...ბალისაგან

ფელეტონი

— დათიკო, სადა ხარ კაცო, სად?! რა გამიხარდა შენი ნახვა, რომ იცოდე!

— რა იყო, კაცო, ასე თუ მოგენატრე, ვერ დამირეკე?! არ მითხრა ახლა, იმ შენს ლამაზ კბილის ექიმთან წამიყვანეო!

— არა, არა, მაგას რავა გეტყვი!

— რა ვიცი, ორი საღი კბილი კი ამოაღებინე მაშინ!

— აბა, კაცო, ოღონდ ახლოს გამეცნო და კბილებიც კი გავიმეტე!

— მაგას, შენს მეტი, მართლაც ვერავინ გააკეთებდა!

— ჰო, ჰო, ვერავინ!

— ე, ბიჭო, მითხარი ახლა, რა საქმე გაქვს ასეთი, ოღონდ, თუ საჩქარო არ არის, ჯერ აგერ ლაღიძეში ხაჭაპური ვჭამოთ, თორემ მგელივით მშია და მერე, სადაც გინდა, წამოგყვები!

— აგაშენა ღმერთმა, სწორედ მეც ეგ მინდოდა მეთქვა და დამასწარი! მეც აჭარული ხაჭაპური მინდა სწორედ და მერე თუნდაც სულ დამაძროს კბილები იმ შენმა მზეთუნახავმა თინიკომ!

— კარგი, კარგი, წამოდი ახლა, თორემ ხომ იცი, იქ ყოველთვის რიგია!

სულ რაღაც ნახევარ საათში მივუახლოვდით გამყიდველს და გიორგი ჩურჩულით შემეხვეწა:

— თუ ძმა ხარ, წაიღე ახლა ეს წყალი და დაჯექი მაგიდასთან, დღეს მე გეპატიჟები!

ეს ისე მითხრა, მივხვდი, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა და ორი ადგილი დავიკავე მაგიდასთან.

— ამ დროს ორი ქალიშვილი მომიახლოვდა, ხაჭაპურებით ხელში.

— დაკავებულია? — მკითხეს თავაზიანად.

— მხოლოდ ეს ორი! დაბრძანდით!

მადლობა გადამიხადეს და, ის იყო, ჭამა უნდა დაეწყოთ, რომ გიორგიც გამოჩნდა მომტანის პლასტმასის ლანგრით ხელში, რომელზეც ძლივს ეტეოდა რვა ხაჭაპური!..

— დათიკო, აქ ვერ დავეტევით! აგერ, გვერდით, გათავისუფლდა და იქ გადავიდეთ!

— არა, არა, ბატონო! ჩვენ გადავალთ, არ გვეგონა, ამდენი თუ იყავით!

ქალიშვილებმა უცებ წამოავლეს ხელი თავიანთ თითო ხაჭაპურს და ადგილი გაუთავისუფლეს გიორგის. პირველად მეც ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე, ვიფიქრე, ალბათ ნაცნობები დაინახა და იმათთვის აიღო-მეთქი ამდენი. გიორგიმ დააწყო მაგიდაზე ხაჭაპურები და ჭამა დაიწყო.

— მოიცა, ბიჭო, დაველოდოთ, უხერხულია!

— ვის უნდა დაველოდოთ?!

— ვისთვისაც აიღე ამდენი ხაჭაპური!

— რას ამბობ, დათიკო, ჩვენთვის [illegible]

— ამდენი?!

— რაა, ბიჭო, ამდენი?! ადრე თეფშზე ძლივს ეტეოდა ხოლმე, ახლა ამ დალოცვილებმა ისე დააპატარავეს, ერთ ლუკმად არ მყოფნის! შენც ხომ მითხარი, მგელივით მშიაო!

— ისე, მართალი ხარ, კი დააპატარავეს ცოტა, მაგრამ რვა მაინც ბევრია!

— ცოტა რომ დაეპატარავებინათ, ვინ რას იტყოდა?! არა, ყველს ვინღა დაეძებს, ცომიც ენანებათ! ერთი ესაა, რომ კვერცხს ვერაფერი მოუხერხეს, ამას მაინც ვერც შუაზე გაყოფენ, ვერც ოთხად!

— მართალი ხარ, კიდევ ეგ გვშველის, იძულებული არიან, იმხელა გამოაცხონ, კვერცხი რომ დაეტიოს ზედ, თორემ მაშინ ოთხ ცალს ნამდვილად მეც დიდი სიამოვნებით შევჭამდი!

— სხვათა შორის, აქაც შეიძლება მოინახოს გამოსავალი, თუ ცოტა ფანტაზიას მოიშველიებენ: მოაშენონ, ბატონო, ჩიტების ფერმა და ქათმის კვერცხი ჩიტის კვერცხით შეცვალონ: ფქვილიც ნაკლები დაჭირდება, ყველიც, და უფრო მინიატიურული და ო[illegible] იგინალურიც იქნება, ისეთი, რომ თვითონ აჭარელიც ვეღარ იცნობს! რაც შეეხება ფასს!.. ფასი, რა თქმა უნდა, იგივე უნდა დატოვონ!

ლილი მაისურაძე-მორგოშია



ნახ. ბ. ზუგაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი შეთეკაშვილი • საბჭოური სატირული

ჰარმონია

ოდითგან უთქვამთ
და ეს სიბრძნე არის ფრთამალი:
თუ მეტს მიიღებ, —
წამალიო არს საწამლავი,
საქმე დოზაა,
რაიც კურნავს, —
ის კიდეც მოხრავს,
ჰო, ყველაფერი დოზაა, დოზა!

გონიერება — ზომიერება:
ამ რითმას აზრი
გამჭრიახი სინათლით მოსავს.

გამოჯავრება

აღვიჭურვები შენივ ხერხებით,
როგორც შემსვდები, —
ისე შეგხვდები!
არ შემეხები? —
არ შეგეხები!
თუ შემეხები, —
მეც შეგეხები!
კბილებს — კბილები!
ფრჩხილებს — ფრჩხილები!
ხელებს — ხელები!
ფეხებს — ფეხები!

უტიფარი

ფეხს დაგადგამს და
იგი ბოდიშს მოიხდის როდი,
სუფთა შეგნება
და ზრდილობა ღალატობს
რადგან!..

და თუ შენ იმას
ფეხს დაადგამ, მოუხდი ბოდიშს,
— ეს რანაირი სიტყვა თქვაო?!—
დარჩება სახტად,

თვალს მოკუტავს და
გაოცებით დაგიწყებს მზერას,
რადგან ბოდიში
თუ რას ნიშნავს,
ვერ ხვდება, ვერა!

წინასწარი ზრუნვა

ზოგი ჩანგს სხვაგვარ
ხმით ახმიანებს,
ზოგი ტრიალებს,
ზოგი ღრიალებს,
ზოგი ტრიალებს, —
ადამიანებს
მოუხმობს, —
ცოცხლად ვინც აღიარებს
და თუ ახლავე
წუხს და წრიალებს
იგი მომავლის
კაფავს ხვიარებს.

საეჭვო დაწინაურება

ხელმძღვანელ პოსტზე
პირი ხაეჭვო
ხაეჭვო პირის
ხელით დაერგო!

არქიმეურვეობა

ააფრინეს,
გააფრინეს,
მაღალ სკამზე დააფრინეს!
— არ შეხციოდეს! —
მხრებზე ზრუნვის
ხქელი კალთა დააფინეს,
არ შეჰფერის სკამს და
სკამის
დატოვებას არ აპირებს!

ფხიანობა

ვინც არის ზევით,
მას გუნდრუკს უკმევს,
ტუქსავს და კიცხავს,
ვინც არის ქვევით,
ზემდგომს კუდს უქნევს,
ქვემდგომს თითს უქნევს
„ოსტატი“ კუდის და თითის
ქნევის.

პასიური

რაიც არ არის, —
იმას ნურსად, ნურახლროს
ვითხოვთ
და რაიც არის, —
კმაყოფილი იმისიც ვიყოთ!

უვიცი

რად აჰკიდა დასტაქარმა
ბოლოს ცოდვა იაგოსაც —
ფეხის ნაცვლად
ცხვირის ტკენა
რად დაუსვა დიაგნოზად,
რომ იაგომ
ფხევდოექმნა
რაც ეკუთვნის, — მიაგოსა,
უვიცობის დიაგნოზი
თვით ამ „მკურნალს“ მიაკოსა!

ნიღაბი

მას უქრის ხიო ქვენა თუ ზენა,
ის არის ერთი და არის ორი
და არა ეკრანს და არა სცენას, —
ცხოვრებას ხვდება სხვადასხვა
როლით
და იგი ხინდისს თავისგან
ტიხრავს,
იგი მიმართავს სიყალბეს
მუხთალს,
ვით აირწინალს მოირგებს ნიღაბს
და ორპოფობის ჰაერით სუნთქავს!

ურწმუნო

— ჩემი ღრმა რწმენით! —
ჰფიცავს და
აასარსარებს ენას,
თუმც არათუ ღრმა, — მას არ აქვს
ზედაპირული რწმენაც.

უფრო მეტს ვიტყვი: საერთოდ
მას რწმენა სულაც არ აქვს,
რწმენის გარეშე დააფრქვევს
იგი ფრაზების მარაგს!

საწუთროსაგან განდგომილს

მწარეა, როცა იარა
უცხადეს სიკვდილს უდრის,
როდემდის უნდა იარო
უჩინმაჩინის ქუდით?!

ჰყვავის და ჭკნება ტყემალი,
ყოველს დრო-ჟამი თარსავს!
როდემდის უნდა ემალო
ხალხს და საკუთარ თავსაც?!

ზოგიერთ გამუიდველს

რაც ნორმას არღვევს, ჯიბესაც
შენივე მტკიცე „გრაფიკით“,
რამდენი გრამიც დაგვაკელ
ანდა რამდენი კაპიკიც, —

იმდენი დღე რომ გემატოს
(სულ „წაგლეჯაზე“ ფიქრებით!),—
შენ მაშინ განა მოპკვდები? —
მუდამ ცოცხალი იქნები!

კოკოგზიკა

ხაოცარია, — უღირსი ვიღაც
თავზე ღირსების რომ იდგამს
ჯიღას,
დაიდგამს, ვაგლახ, ჩანს
ხაცოდავად,
ჯიღა არ შვენის თავზე ოდნავად,
მაგრამ ის როდი ემდურის
ილბალს,
ჰგონია, ჯიღით სუყველას
ხიბლავს.

ზემოგებითი სხვაობა

ის ხახელმწიფოს ბინაში
თვეში ათ მანეთს უხდის,
იმ ბინაში კი იმას სხვა
თვეში ას მანეთს უხდის,
მისთვის სიამედ ქცეულა
ამ ზემოგების მუხტი!

წვიმა შინ და გარეთ

წვიმაა გარეთ თუ არა, —
ამისთვის გარეთ გახედვა
არა მჭირდება, —
მე ამას
ვიგებ ბინაში აქედან.

და ეს ხუმრობა როდია,
სიცრუე, ანდა მირაჟი,
სახურავიდან,
ვით ციდან,
წვიმა ჩამომდის ბინაში,
სულ ჩემს კედლებში გროვდება
წვიმის წვეთების ტირაჟი!

ჩინოვნიკური „დაპირება“

ასე ხშირი დაპირებით
ძარღვი აწივლებული,
გული გაწვრილებული,
სული გაწბილებული,
ჩინოვნიკის დაპირება —
გულგრილობის ქილაში
დიდხანს „დამწნილებული“.

არაობიექტური მსაჯი

ერთს და იმავე შეცდომას
როს განსხვავებით განსჯის:
ვის — მიუტევებს შეცდომას,
ვის — შეცდომისთვის დასჯის. —
კიდევ იძახის: მე ვარო
ობიექტური მსაჯი!

გარეშე მაყურებელი

ცხოვრებას უცქერს შორიდან
(თუმც ეს მას სულ არ შეჰფერის!)
არმონაწილე,
ცხოვრების
გარეშე მაყურებელი!

თადარიბი

მან იცის სიმი როგორ გაჭიმოს,
იცის, სად, როდის, რაა საჭირო,
ვინ მოიხსენოს ქებით, აუგად,
ვისზე როგორი ჰანგი დაუკრას!

კალკები

მშობლიურ ენის ამკლები
ჭარბად იხმარა კალკები
და უწესრიგო გროვას ჰგავს
მისთა ფრაზათა „ნაკრები“,
სხვა ხმარობს კალკებს, აბა, ის
რითია სხვაზე ნაკლები?!

მიჯნების გადალახვა

მშობლიური ენისა
გადალახა მიჯნები
ისევე მშობლიური
ენის დამახინჯებით!

ორგზის ტაცია

სხვათა მეცნიერულ აზრთა
იყო ისე ტაცია,
ტაციობით შეადგინა
იმან დისერტაცია.

შემდეგ დესერტაციაშიც
დარჩა ესე ტაცია,
ტაციობის იყო ჯამი
მისი დესერტაცია!

გაბერვა

მას გაბერვის ახირება
განა ოდეს აკლდა?
ბოლოს ისე გაიბერა:
— ბახ! — და ფიცხლავ გასკდა,
დაიფანტა ნაფლეთებად,
აურაცხელ ნაკვთად
და მის სულში კვლავ გაბერვის
ეინდა ახე ჩაკვდა!..

ქლესა

ის უფროსის ქლესობაზე
კარგად როა მორგებული, —
მიტომაა იმ უფროსის
თვალში ახე მოგებული!

ნავსი ცრუკრიტიკოსი

თუმცა თავს იქებს სიტყვების
ხვავით
მას უფრო მეტი სახელი შია,
ჯერ არ მომკვდარა, — თავისი
თავი
უკვე უკვდავთა სიაში შეაქვს
და თავს იბრუებს, რა „განძი“
შექმნა
და არ კი იცის, რისია ღირსი:
რომ მისი წიგნის სიცოცხლე
ქვეყნად
განიზომება სიცოცხლით მისით!

ვაი-კალმოსანის ზიგზაგები

ალაგ-ალაგ —
ლირიკული წიაღსვლა,
ალაგ-ალაგ —
ცინიკური წიაღსვლა,
არსად — საღი
აზრი კრიტიკოსული,
საღ კრიტიკას
ციკი წყალი მიასხა.

ავუია მჯღაბნელი

არა! მასთან კრიტიკის
ნასახს (ძველს თუ ზეახალს)
მიკროსკოპით კი არა,
ტელესკოპით ვერ ნახავთ!
ქუჩურ ლანძღვით კრიტიკის
მან სახელი შელახა!

საქმისა და სიტყვის დაზორება

საქმეს და სიტყვას ერთმანეთს
ის როგორ მიუსადაგებს, —
როს საქმით სულ სხვას აკეთებს
და სიტყვით სულ სხვას
ქადაგებს!

მაჯამები

თავნება

წესს, — მართებულად
იცხოვროს, —
თითქოსდა ვერა ხვდება,
ყამიყამ სიმებს აიწყვეტს
და ფათერაკებს ხვდება,
სადღაც ჩხუბს ატეხს და ისევ
საპატიმროში ხვდება
და აი, ასე სასჯელის
ისარი კვლავაც ხვდება!

ამაო მცდელობა

სნეულ აზრებს ხელოვნურად
„აჯანმრთელებს“, „ახალებს“
და თავსა თვლის სიმაგრედ,
სხვისგან ძნელად ახალებს,
მიტომ სხვაზე სიცრუეს
კვლავ სიმართლედ ახალებს!

შეუსმენარი

ვინ იცის, იმას რამდენმა
„ჭკუით იყავი!“ — ურჩია,
მაინც უჭკუოდ იქცევა
ჯიუტია და ურჩია!

არასერიოზულობა

მასთან...არ ჩანს გულისა და
გონის სწორი ერთობა,
იგი მხოლოდ ოხუნჯობით
და სიავით ერთობა!

იგივე ცრუკალმოსანი

მორიგ პასკვილს კვლავ რომ
შხამით
მოკაზმავს და მორთავს,
— ეს რა შევთხზე! — ტალანტ-
ვარ! —
ისევ ტრაბახს მორთავს!

ანგარება

სხვას რომ სუფრას უშლის,
ეს მას ხელს არ უშლის,
პირიქით ხელს უწყობს,
ის „სხვა“ საქმეს უწყობს.

საფრთხე

დიდების გვირგვინს კრავს
თუ ხელს არავინ კრავს,
არ დაამგვანებს კრავს!

ლოთის ტრაგედია

როცა ღვინო სუფრაზე
დასძალავს და ერევა,
ბოთლია თუ ჭიქაა,
ერთმანეთში ერევა!

სულის შეგლალვა

წამოიწყო ფულის ბნელი აქცია,
იმ აქციამ დამნაშავედ აქცია!

ამაგის დავიწყება

ზღვაში როგორც კი შეცურე,
გემო,
ალარც კი გახსოვს ხმელეთის
გემო!

უდარდელი

რაკი შეგრძნება არა აქვს
ახლის,
ფიქრობთ, თავს იგი ქვის
ლოდებს ახლის?!

განმვრეტა

ის ფხას იჩენდა, მივიდა სადაც,
იხმარა ხერხი რთულიც და
სადაც!

ენაკვიმატი

ისეთი ენა აბია,
„თქოსდა შხამის აბია.

როლები

სხვას თვის სპექტაკლს
დაახწრებდა,
იქ მისვლას სხვა დაახწრებდა.

ურთიერთგატანა

გზას იკვლევდა ბანდა,
ხელი ხელსა ბანდა.

უმადურობა

ფრთებს სხვების კვალზე შლის
და ის სხვების კვალს შლის.

ღვარძლიანი ვაი-კრიტიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისგან განა კრიტიკული
საღი სიტყვა გველის? —
იმან მხოლოდ კბენა იცის
და სისინი გველის!

ნამცვრევები

შეუსაბამობა

ის სხვების ოქროს იწუნებს
მარაგს,
თვით არა ოქრო, — ბრინჯაოც
არ აქვს!

უარყოფითი ბალანსი

პრეტენზიებით ის მუდამ
სცოდავს,
თხოულობს ბევრს და იძლევა
ცოტას.

თავმოთნეობა

თავის თავს ამკობს ათასგვარ
ფერით
და ალარ ახსოვს ერი და ბერი!

თვითმხილება

სანამ ის ცულით ხეს დაბლა
დასცემს,
მისივე ფულის კაკუნი გასცემს!

კონფლიქტური პიროვნება

მას ვერვინ ვერსად ვერ ნახავს
დამცხრალს,
ვერ მოისვენებს, თუ არვის
ლანძღავს.

მიზნის აცდენა

მისი უსაზღვრო მჭევრმეტყველება
არის უსაგნო ბევრმეტყველება!

ქარაფშუტა

ის ცაში დაფრინავს ხეულის
გრეხით,
მიწაზე არ უდგას არცერთი ფეხი!

უვიცი რეცენზენტი

ანბანიც არ იცის, — წაკითხვას
ლამობს,
ეს მოხდის მისივე ხირეგვნის
გამო!

წაჯეკ-უკუჯეკია

რა ტკივილსაც კი ის წყენით
აჩენს,
იმ ტკივილს ისევ ალერსით
არჩენს!

ნახ. გ. მორჩაძისა

— რას ფიქრობ?! ყიდულობ თუ არა?!

სინანულით მოსაგონარი

ვისხედით დაწესებულების დიდ დარბაზში
და ვისმენდით ჩვენი უფროსის მოხსენებას
(დაეკარგოს მაგის აქ მომყვანს მოხვენება,
როგორც ჩვენ დაგვტანჯა მისმა მოხსენებამ!).
ეცით, როგორ შემეცოდა ხაწყალი კაცი?! —
ადვილია სხვისი დაწერილის წაკითხვა?!
(ხაწყალი-მეთქი! ხაწყალი მაშინ იქნებოდა,
ავმდგარიყავით და დაგვესვა რამე შეკითხვა!)
ვცადე, მაგრამ ვერ განვეწყვე მე მისად ხმენად,
გართობა მომინდა, ვინ გამართობდა,
როცა ჩემს გვერდით მჯდომი ჩემი მეგობარი
გვერდით მჯდომთან ახალ მოდაზე კამათობდა?!.
... მომხსენებელმა დაამთავრა მოხსენება
და თავმჯდომარემ გვანიშნა, დასცხეთ ტაშიო!
შიგადაშიგ რომ გაისმა ტაშის წკაპუნი,
მერე გვიბრძანა, — გამოდით სიტყვაშიო!
გაიგო ვინმემ რამე?! ვის რა უნდა ეთქვა, როგორ?!
თუ მოხსენება წლის ანგარიშს ეძღვნება —
როგორ?! — გული კაცისა არაფერმა შეხძრა?!
(... ჰო, ეგრე იყო, გულდ არაფერმა შეხძრა!)
მთავარი ის არის, რომ თვით მომხსენებელი
თავად ვერ გაერკვა, — რის შავი, რის თეთრი?!
ამისგან იყო, ალბათ, რომ „ხიმდიდრის" მაგიერ
ბედშავს გარკვევით წამოსცდა „ხიდედრი"!
ამბობენ, სიდედრი ყოვს ძალგულოვანიო,
მაგისი დიდი მფარველი ის არისო,
იმან დაანიშვნინა უფროსებს უფროსად,
ის არის მაგისი მშვილდი და ისარიო!
... ერთი რიგიანი უფროსი გაქრა ჩვენთვის?!
ერთი გამოცდილი და ანთებული კაცი მოგვცა, ნეტავი!..
რა ვქნათ, რომ ვეღარ აგვიტანია უფროსად
კაცი, თავის საქმეში მთლად ჩაუხედავი!
... რა მალაპარაკებს ახლა, თქვენ ისა თქვით! —
ყველა ნაკლისათვის მომეყარა თავი ერთად და მეთქვა! —
დავისჯებოდი ამაზე მეტად?!
წყენახ მოვერიდე, ჩემი ხასიათი დახწყევლა ღმერთმა!

ლალი მარტაშვილი

სულელი და ფილოსოფოსი

ზეხტა ჰაერში ფილოსოფოსი და ხელებით რაღაცას წაეპოტინა. ირგვლივ მყოფების შეკითხვაზე, — თუ რა გააკეთა, — მან უპასუხა: კოსმოსში პლანეტებს ვიპერ და მეცნიერულ დაკვირვებებს ვახდენ, ბევრი საკაცობრიო პრობლემა მაქვს გადაწყვეტილი, დიდ წინააღმდეგობებს ვაწყდები, რომ დავნერგო ისინი პრაქტიკაში, მაგრამ უღირსები ცდილობენ მათ მითვისებას, უნდათ, ჩრდილში დამტოვონო!..

სულელმაც იგივე მოძრაობა გაიმეორა. შეკითხვაზე, — თუ რა გააკეთა, — მწერი დავიჭირეო, — უთხრა ირგვლივ მყოფთ და ხელისგულზე გაჭყლეტილი მწერი უჩვენა!..

ჩემო კეთილო მკითხველო, რომელია სულელი და რომელი ჭკვიანი, ეს თქვენ თვითონ განსაჯეთ! — ერთი თავისი აღმოჩენილია და ფილოსოფიით ცდილობდა არისტოტელეს, პლატონის, სოკრატესა და მათნაირთა გვერდით დამდგარიყო, მეორემ კი იმ მწერზე იყარა ჯავრი, რომელმაც „უსამართლოდ" უკბინა!..

აქედან გამომდინარე, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ფანტაზიორობით ვერავის დაარწმუნებ შენს „გენიოსობაში" და ვერც საბურველ შედეგს მიაღწევ, — საზოგადოების დაცინვის ობიექტი კი გახდები!

ავთანდილ გაფრინდაშვილი



ანეკდოტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი მეუღლე ტურისტულ მოგზაურობაში გახლდათ ინდოეთში, რა ჩამოვიტანათ სამახსოვროდ?

— შიდსი და ერთჯერადი შპრიცები!

— მალე დისპანსერში მოგიწევთ დაწოლა, შიდსის ნიშნები გაქვთ!..

— „სპიდი“ არ იყოს და, მაგას რაცხას ვუშველი!

— ბუნებაში რომ არაფერი იკარგება, ახლა მივხვდი!

— ჯამი არ იცვლება, ხომ?

— ხო, კაცო! საბჭოეთი გაერთიანდა — გერმანია გაიყო, გერმანია გაერთიანდა — საბჭოეთი იყოფა!

— აღარ გიჩივის მეზობელი, კირილე?

— ნამცხვრების კოოპერატივი გახსნა შინ და ვეღარ იცლის!

— მე მოვითხოვ, მომანიჭოთ საქართველოს მოჟირნახულის საპატიო წოდება!

— რა გააკეთეთ ასეთი მნიშვნელოვანი?

— თურქეთში ვიყავი ვიზით, ბატონო და აქედან წაღებული ოთხი ხორცსაკეპი დავუბრუნე საქართველოს!

— გეიგე, ანზორია, რა გამოუგონებიათ იაპონელებს? დეიძინებს — დაესიზმრება მანქანა, გეიღვიძებს და დახვდება ეზოში!

— მაგით გაგვაკვირვებენ, ბიჭო, ქუთაისელებს?!. დევიძინებ — ბენზინის რიგში ვართ, გამეღვიძება და ქე ვართ ისევე იქ!..

—რატომ ყიდით, ძია, ყველს ვე მანეთად?

— რა ვქნა, ბიძიკო, ძროხა გამომდგა ინტრიგანი, ყველის ტალონს მთხოვს ყოველ მოწველაზე!

— პირველი ცოლი რატომ გაგექცა, გალაქტიონ?

— არ სვამ, ვაქაცი არა ხარო!

— მეორე?

— სმა დავიწყე და — ლოთი ხარო!

— ვახტანგიჩ, რა უბედურება გვჭირს?! ყველაფერთან ერთად, სიგარეტის დეფიციტიც დაგვემატა!..

— გაგიჟდება კაცი! მომაწევინე ერთი, თუ ძმა ხარ!..

სამშობიაროში

— ქალო, არ გამაგიჟო, ეს ბავშვი არც მე მგავს და არც შენ!

— დაბერდი კაცი და, ახლა მაინც მოეშვი ამ კოოპერატივების ლანძღვას!

— ბატონო მოსამართლე, ჩემმა ქმარმა მამაკაცობა დაკარგა და იმიტომ ვშორდები!

— როგორ თუ დაკარგა?!

— სხვებთან ბიჭები მიაწყო, ჩემთან გამოუვიდა გოგო მაინც და მაინც!..

— რეკლამას კი დავუჯერეთ, მაგრამ თქვენს კოოპერატიულ სასადილოში არაჩვეულებრივი არაფერია!..

— ჯერ ხომ არ გვიანგარიშებია?! აბა, მითხარით, რა მიირთვით?

— ალო! ფსიქიატრიულია? მიშველეთ, ჩემი ქმარი კედლებს ხატავს!..

— ნუ დაუშლით, მაგაშია ახლა ფული, ქალბატონო!

—პატივცემულო ექიმო, თორმეტგოჯა ნაწლავის ოპერაციაში ხსვას თორმეტ თუმანს ართმევთ და მე ცამეტი რატომ უნდა გადავიხადო?

— თქვენი ცამეტგოჯა აღმოჩნდა, ბიძაჩემო!

— რატომ ჰქვია თქვენს კოოპერატიულ სასტუმროს „სამოთხე“, როცა ერთი ჩიტიც კი არ გალობს აქ?

— ჩიტი თქვენ ბრძანდებით, ბატონო!

— გთხოვთ დამიზღვიოთ საკუთარი „უიგული“, ყველაფერი გამოსაცვლელი აქვს ამ უპატრონოს!

მურმან მერკვილიშვილი



დიპეტჩერი

ნოველა

პროვინციული ქალაქის ავტობუსდგურის მხოლოდ ერთ სალონში იყიდებოდა ბილეთი თბილისის რეისზე. მოლარე, ჩვეულებრივ, ავტობუსის ჩამოდგომის შემდეგ იწყებდა ბილეთების გაყიდვას და იმ სარკმელთან მუდამ იდგა მომლოდინე ურიგო რიგი.

არც გაემტყუნებოდა, რადგან მძღოლებმა ისე დაგეშეს მგზავრი, ჩამომდგარ ავტობუსს რომ დაინახავდა, ჯერ ავტობუსში დურთავდა თავს, თუ იყო, ადგილს დაიკავებდა და მერე მიდიოდა იმ ადგილის საყიდლად!..

ახლაც, ჩამოდგა თუ არა ავტობუსი, მაშინვე აიკსო მგზავრებით. მძღოლი რომ გადმოვიდა კაბინიდან და სალაროსკენ წავიდა სამგზავრო დოკუმენტაციით, მაშინლა აედევნა რამდენიმე მგზავრი ბილეთებისათვის. რამდენიმე კაცი კი სალაროსთანაც იდგა (ვინც „წესი" არ იცოდა).

— აქ რა გინდათ?! — უსიდად იკითხა მძღოლმა, გარეგნობით და თამამი იერით მინისტრის მოადგილეს მაინც რომ მგავდა და ქაღალდები მოლარეს გადააწოდა.

— ბილეთები!

— ბილეთი რად გინდათ, თეატრში ხომ არ მიდიხართ?! წადით, დაჯექით, სანამ თავისუფალია ადგილი!

მაშინვე შეთბილდა სალაროსთან მდგომთა ჯგუფი. მძღოლი რომ სალაროდან გამოვიდა, ქაღალდები ააფრიალა და, წავედითო, დაიძახა. სარკმელთან ორიოდე კაცი დარჩა. მათაც მაშინვე მოცოცხეს ავტობუსისაკენ, როგორც კი მძღოლმა მოტორი ჩართო (არ და ვრჩეთო). ავტობუსი ათუთუხდა, მძღოლი კი გასვლას არ ჩქარობდა. კაბინიდან გადმოვიდა და სადისპეტჩეროში შევიდა. ჯიბიდან რომ დისპეტჩერისათვის დაწესებული კუპიურა ამოიღო, ოთახში ვიღაც შემოვიდა. მისთვის ყურადღება არც მოუქცევია (ამას წინათ აქცევდნენ) და ის იყო, დისპეტჩერს გაუწოდა, მისი უსტატეკო, დაუხმამხამებელი მზერა იგრძნო (ეს მათ არსენალში ურთიერთობის მარტივი შიფრი იყო). მიხვდა, შემოსული რომ ხელწამოსაკრავი კაცი არ იყო, ფული ისევ ჯიბეში ჩაიდო და ყვერდით ოთახში გავიდა, იქ ჩაბარა კუთვნილი.

კაბინაში რომ ჩაჯდა, ცოტა არ იყოს, გალიზიანებული, გვერდით გაიხედა და წინა სადგომზე შეკუჩეტული მგზავრებიდან რამდენიმე ამოარჩია.

— თქვენ ჩადით, არ წაგიყვანთ!

— იმე?!. რატომ?!.

— თქვენ წაგიყვანოთ და თბილისის მგზავრი დავტოვო, სად წერია?!

„დაწუნებული" მგზავრები არ ჩადიოდნენ, კიდევ ეჭიჭლინებოდნენ, ეხვეწებოდნენ. მძღოლმა ჩვეულ ილეთს მიმართა — მოტორი გამორთო.

— არ ჩახვალთ და არ წავალთ! არსად არ მეჩქარება!

— ჩადით ახლა, თქვენი გულისათვის ჩვენც დავრჩეთ?! — აყაყანდა ავტობუსში მსხდომთა უმეტესობა.

ილეთმა გაჭრა. მგზავრებს ისევ მგზავრებით მოერია.

„ახე მოუხდებათ. შემდეგში ალარ დამაკლებენ ტაქსახო".

ავტობუსი მაინც გაძეძგილი გავიდა. მიუხედავად ამისა, პირველსავე შემხვედრ მგზავრს გაუჩერა (არც უკითხავს, სად მიდიოდა) და ჩაისვა.

— შუაშია ადგილი, გადმოიწიეთ! — გასძახა მძღოლმა და უკანა კარი გააღო.

— სადაა, კაცო, ადგილი?! ისე შევაცხვით ერთმანეთს, „სვარკით" თუ დაგვაცილებთ!

მძღოლი ადგა და ისე გახედა უკანა მგზავრებს.

— ვინაა, ხელს რომ მიშლის მუშაობაში?!

— კაცო, ფულს რომ თიბავ, სინდისი არა გაქვს?!

— რაო?! — მართლა გაუკვირდა მძღოლს, — დამანახვეთ, ერთი, ვინაა ამის მთქმელი?! რომელი საუკუნიდან მელაპარკები?! სად სინდისი და სად ავტობუსი, მე-20 საუკუნის ბოლოს?! სინდისი ურმის საქმეა. თუ სინდისი გინდა, ურმით უნდა იმგზავრო! კაი ხალიჩას ჩაიფენ შიგ და არც არავინ შეგაწუხებს! მეორედ ალარ დაგინახო ჩემს ავტობუსში, იცოდე!.. ძალლი დამიკალით მამაჩემის საფლავზე, თუ მეორედ აქ ამოგაცუნიო!

— თუ ჩამოდის ვინმე, ჩამოვიდეს! — დაიძახეს გარედან.

მძღოლი საკეს მიუჯდა და კარები დაკეტა, რადგან არც ჩამსვლელი იყო ვინმე და არც ამომსვლელი.

— თუ იცი, რამდენს ეკნება სინდისი ამ ავტობუსში? — გასძახა კაბინიდან.

სალონი ახლა კი ავად გაიტრუნა და აიმრიზა, მაგრამ რაკი კონკრეტულად არავის შესებიან, ხმაც არავის გაუღია.

მძღოლმა ავტობუსი გააქანა, მერე უცბად დაამუხრუჭა და კინალამ თავზე წამოასხდნენ ფეხზე მდგომი მგზავრები. არც დამსხდართ მოსვლიათ კარგი საქმე. წივილ-კივილის მიუხედავად, ისევ გაიმეორა ილეთი და ახლა უკვე უჩხუბრად ჩაისვა კიდევ რამდენიმე მგზავრი, რადგან უკან მართლაც „გათავისუფლდა" ადგილი.

— ჩვენ მთავრობას მართლა ჰგონია, ხალხი გავათავისუფლეო. ის კი არ იცის, ბოფრები და ნოკრები, ოხრები რომ გაგვიდეტატორა! — ჩაიბუტუნა ამ არეულობაში გაღვიძებულმა მოინტელიგენტო კაცმა. ეთვალე რომ ჩამოვარდნოდა და ეძებდა. — უნდა ჩაგსვამს, უნდა ამოგსვამს!..

მოინტელიგენტომ გვერდით მჯდომს შეხედა, რას იტყვისო, მან კი თავი მოიმძინარა (სწორედ მაშინ წაუუჩა).

სამაგიეროდ სხვებს აეშალათ ლაპარაკის ხალერღელი.

— რას იზამ, დათვი რომ მოგერევა, ბაბა უნდა დაუძახო! — დათვს კი დაუძახებ ბაბას, მარა ცეცხლი ისაა, ასეთ ტურასაც რომ ბაბა უნდა უძახო! — მძღოლისაკენ გაიშვირა ხელი.

— მაგათი იყო ქვეყანა და მაგათია ახლაც! აბა, ინფინერი ვინაა?! ერთი დამწყები ძროხა სჯობია კაი სტაჟიან 2-3 ინფინერს!

— ქათამნახევრის ხელფასი აქვს და...

— კაცო, შენი მანქანის პატრონი ამ ავტობუსში?!

—ჩემი მანქანით ძმაო, ქალი მოვიტაცე. სახიძო უკან იჯდა, საპატარძლოს გვერდით. მიხედვის მერიდებოდა, ხელი არ შევუშალომეთქი. ცერად გავხედე და, ბიჭოს, არ წაუყუჩებია? ქინდრავდა, წავკარი ხელი, — ხომ არ დაგავიწყდა, ცოლი მოგყავს-მეთქი?! იცოცხლე, დაქაჩა თვალები!.. იმათ განკარგულებაშია ახლა ის მანქანა!..

ცენტრალურ ტრასაზე რომ გავიდნენ და გეზი დედაქალაქისაკენ აიღეს, უკნიდან იკვირეს:

— გააჩერე, გააჩერე!..

— რაშია საქმე?!

— გვიჭირს!

— 10-15 წუთის შემდეგ მძღოლმა გვერდით მიაყენა მანქანა. გააჩერა.

— დრო ხუთი წუთი! — გასძახა და კარები გააღო.

მგზავრები რომ უკან დაბრუნდნენ, სალონში ხაეკვო ხუნი დადგა.

— ვინ გატეხა „დუბის" შუშა?

— იმ ტუალეტში შესვლას ჩაფუსმა სჯობია! — ჩაილაპარაკა ერთმა და ამოსვლამდე ბალახს გაუსვ-გამოუსვა ფეხი.

— ფანჯრები გააღეთ და გაქარდება, რომ წავალთ!..

— შეხედეთ, შეხედეთ, რა დაუწერიათ!

უკანა კარში, შესასვლელთან, ვიღაცას თითით დაეჩხაპნა მტვრით და ტალახით გათხვრილ ფანჯრებზე შიგნიდან და გარედან: „დაიცავით ხისუფთავე!"

ახარხარებული ავტობუსი გზას გაუდგა.

დიქტატორი ხმას არ იღებდა. სროლის უფლება ჯერ არ მიეცათ და ისე რას გააგებინებო ამ არიფებს! არც ენაღვლებოდა. მან მხოლოდ მგზავრები გადათვალა წასვლის წინ, ხომ არავინ დამრჩაო. უკვე იცოდა, რამდენი თუმნის მგზავრი მყავდა და ხომ არ დაიკლებდა?! ისე მედიდურად იყო, თითქოს ავტობუსის საჭესთან კი არა, პლანეტის მართვის პულტთან იჯდა!

სოსო მაჭარაშვილი

(ქ. საჩხერე)

ნახ. დ. ზარაფიშვილისა

თემა ო. დემეტრაშვილისა

ჰეშმარიტ ფასს ვერ გაიგებ,
რაც არ უნდა იძიო! —
ხაჭართველო დაემგვანა
ერთ დიდ **ხაკომიხიოს!..**

იყიდება ყველაფერი,
ათასნაირ ხარისხის!..
ვინ აწესებს მასზედ ფასებს,
კაცოშვილმა არ იცის!

სასწაულად მოგვიმრავლდა
გამყიდველთა ლაშქარი!..
დახლში დგომას არ თაკილობს
არც კაცი და არც ქალი!..

ან სად გვყავდა ჩვენ ამდენი
ვაჭრები და ჩარჩები?!
დახლში დგას, ვით ქვა და მეხი
და ვერც შეევაჭრები!

მიაჩნიათ: ამ ცხოვრებას
კუდში რომ არ მისდიო,
ყველა სახლთან უნდა გახსნა
თითო **ხაკომიხიო!..**

მეშინია ამ ვაჭრობის,
რადგან, ჩემო ბატონო,
ეს ახალი საქართველო
თან არ გადააყოლონ!

ექიმი ლევან სულავა
(ქ. ქუთაისი)

ლითონი ხაფრიოძე

ნახევრად ირონიაზოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს თუმანს უდრიდა, გირაოდ ვარგოდა
ქართველი კაცის ულვაშის ღერი!
ზის სინდის-ნამუსს ყოველთვის ჰქონდა
თავისი წონა, ფასი და ფერი!

დღეს კი სიმართლე გაფრინდა რაშით,
სიცრუე გადის, როგორც ფართალი!..
თუგინდ გასცალე ზოგი ულვაშით,
ასშიც არ გითბრას ერთი მართალი!..

* * *

ყველაზე მეტად დღეს უჭირთ ლომებს!..
მორჩა, დღეს ლომი ვეღარ ილომებს! —
აგდია ბუნაგში, ღმუის და ხვნეშის,
არის ჩასაფრება და ჩაწყობა, შეტევა!..
მელა რომ გაძვრება, იმ ხვრელში, —
ნადირთა მეფე როგორ იკადრებს, —
როგორ გაეტევა?!.

* * *

ისე მცირეა, სულ ერთი ბეწო,
ტუუილა ამყარებ მასზე იმედებს! —
დიდთოვლობისას, რომ შეეხვეწო,
ერთ მუჭა თოვლსაც არ გაიმეტებს!..

* * *

კრიტიკოსი ჩვენი თაყა,
რა ხანია, ცივ წყალს ნაყავს,
არ წერს მართალს, რამ მადლიანს,
აქებს მხოლოდ ჩინ-მედლიანს!..

* * *

ის ნიღბოსანი
კვლავ გვებრძვის გახელებით,
სიყალბისათვის ჯვარზე ვის გაუკრავს?!
მას ტაშისცემით დაუსკდა ხელები,
დღეს კი სხვაგვარად მღერის და უკრავს!..

* * *

ის „წამყვანი“ მწერალია,
„წაღმა“ ბრუნავს მისი ჩარხი,
განა მართლა ნიჭით ბრწყინავს?!
რესტორანში მიპყავს ხალხი!..

* * *

ო, ღმერთო, ამას რას მოვესწარი! —
მიწა დაემგვანა სახაკლაოს!..
სიკვდილის ღირსია ის გარეწარი, —
ვინმემ რომ მოკლას, —
იტყვიან, „კაცი“ მოკლაო!..

* * *

პატიოსანი კი ხარ, ვაცი! —
არ გინდა ფიცი!..
და არ უზიხარ არამთა სუფრას,
ალბათ, საფლავში შებრუნდება
დღეს მამაშენი,
რადგან ეს გზა და დუმილი შენი
ბოროტებას უხმოდ კვერს უკრავს!..

* * *

ზოგ ქონდრისკაცს წყალობს აწმყო,
ჯარგად იცვამს, იხურავს,
იუბილეს თვითონ იწყობს,
თავიც დაიმსახურა!..

გადაიქცა კაცი მგელად,
უნდა, მზედ ამოგორდეს!..
გვირგვინს, თავზე დასადგმელად,
თვითონ მოაჩინჩილებს!
პატივს არ ვცემ არც ერთ ორდენს,
ჩინებსა და ჯინჯილებს!..

* * *

მგოსნის სახელი
არა, თქვენთვის არ მემეტება,
ო, ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ, —
„პოეტი“ ამას რა ურცხვად ბედავს?! —
სტრიქონებს ჩემსას ვიღაც ითვისებს!..
ეს, ნასუფრალო პოეტებო,
არ იწერება არაფერი წვის გარეშე,
გულის გარეშე,
გაფრთხილებთ ისევ,
ვიღაც მოვა და,
ერთ დღეს ყველაფერს გიანგარიშებთ!

* * *

ვინ მოთვლის ჭირსა და იარას,
კაცმა და ბუნებამ გაგვიმეტა!..
ცხოვრება გვიჭერს მარწუხებს,
ათასმა გრიგალმა გადაგვიარა,
საკმელის კი არა, ტანსაცმლის კი არა,,
ყველაზე მეტად
ადამიანის დეფიციტი გვაწუხებს!..

* * *

ზის სავარძელში ამაყი, გაბადრული,
ვიღაც მოწყალების კალთას ახურავს,
არავინ იცის, ეს კაცი ვინ არის,
რა გააკეთა, რა დაიმსახურა?!
ზის სავარძელში იუბილარი,
„მრავალჟამიერ“ სწვდება სახურავს!..
ლამის უწოდონ ხატი და ღმერთი,
გუნდრუკის კმევას, დაფნას იფერებს!..
მე მიკვირს მხოლოდ, მაოცებს ერთი,
რა საზეიმოა მაინც სიბერე?!

* * *

რაღას უშველის გვარი და ჯიში,
ის ცხოვრობს მხოლოდ მშრალი ანგარიშით
და არაკაცის თვისებებს ვერ მალავს,
მისი სიმცირე ნუ გაგაოცებთ,
თუ არ სჭირდები, სალამსაც არ მოგცემთ!..

* * *

ხალხს სიბრძნე სჭირდება,
ბრძენს რომ ამშვენებს! —
ჩინური სიბრძნე გახლავთ,
სიბრძნე ძველისძველი:
ჯერ უნდა იცოდე, ვიდრე სახლს ააშენებ,
თუ ვინ იქნება შენი მეზობელი!..

* * *

უფალო, ეს რა ხდება,
ეს რა დავინახე?! —
ზოგიერთ მტაცებელ ცხოველს
რატომ აქვს ადამიანის სახე?!
წუთისოფელი მას ასე მიაქვს,
შენ გინდა იგი ალალი იხილო!
ენა მიტომ აქვს ადამიანს,
გულისნადები რომ არ გაგიმხილოს!..

* * *

ჩამოფასებული კაცი

ის არაკაცებს მაშინვე მივათვალე,
დაკნინდა სულით და გულით!..
როგორ ჭაჩავდა კაბინეტში თვალებს, —
ვიგონებ, — მაგიდაზე მუშტების ბრაგუნით!
ბევრს დაეჩინა სიგლახის დაღი,
მოგვშორდნენ ის და მისნი ძმანნი,
გახუნდა მისი ბაირაღი,
ჩამოაფასეს, როგორც ძველმანი!..

* * *

ვიწვი და ვბუუტავ, როგორც კვარი,
ნეტავ, სიკვდილო, რა ვალი გვმართებს!..
ხიცოცხლე ძვირფასია, სანუკვარი,
ცხოვრება ადამიანებმა გააუკულმართეს!..

* * *

აბა, საწუთროს რას გამორჩები,
რას ფართიფურთობ და დაბარბაცობ?!
საკუთარ თავთან როს მარტო რჩები,
ნეტავ, რას ფიქრობ, ცოდვილო კაცო?!

* * *

ნურავის მოსთხოვ სამოთხეს, ედემს,
ცოტა დაჯერე, აკმარე ხარბ თვალებს!
თუ კაცი ბოროტებას არ გაგიკეთებს,
ესეც სიკეთედ ჩაუთვალე!..

* * *

ნუღარ მისტირი დაკარგულს, წარსულს,
ვეღარ აჯობე ბედსა და ავსულს,
შენ ჰგავხარ ახლა იმ მღვდელს შინაურს,
რომლის შენდობა არავის არ სურს!..

* * *

იგი სიძულვილის, გაკიცხვის ღირსია,
სული გაყიდა ნისიად!
არაფერს ჰქმნიდა მადლიანს,
ეს კაცი ყოველთვის მუხლებზე ხოხავდა,
კაცი კი არა, მატლია!..
სასაცილოა, მაგრამ უფრო შემზარავია
კაცი, რომელსაც შუბლზე ბევრი ლაქა აჩნია,
მორალს გიკითხავს, მაგა აბრამის ვითომ
კრავია
ვისაც სინდისი ერთი ბეწოც არ გააჩნია!..

* * *

ყველა ჩვენგანი
წუთისოფლის რიგრიგობით ყოფილა
მწყემსი,
ბევრი რამ რჩება შეუცნობელი კაცის
გონებას.

* * *

სამი მტერი მყავს ადამიანს უბოროტესი,
მოგეცეთ ლხენა, დაიხსომეთ ეს შეგონება.—
ესაა თვალები, ყური და ენა!

ნანა ჯინორია 70

მეგობრული შარჟი თენგიზ გოგოლაძისა

„ნიანგის“ სალოცავი პოეზია

„ნიანგ“-ნანა, კარგო ნანა, „ნიანგ“-ნანინაო,
ერთი ამდენი იცოცხლე, მეტი არ გვინდაო!
ხალხური

წელს, ხამოცდაათს, ვულოცავ ხაყვარელ
ნანა ჯანდელაკს,
უკვე ორმოცი წელია, მინთია ხანთელ-ჯანდელად!
ხულ ხუთ წელს იყო ჩემი ერთგული თანამშრომელი,
გაჭირვებულთა მშველელი, დღემუდამ დაუშრომელი!..
არის მართალი მწერალი, კალამ და გულმადლიანი,
და ამიტომაც აფასებს მას ხაქართველო მთლიანი!
ბის ნოველებს და პიესებს, მოთხრობებსა და რომანებს
ჰყავს უამრავი მკითხველი! — არ ეშინიათ მომავლის!
უპირველესი ქართველი იუმორისტი ქალია!..
ცხოვრება მძიმე ბრძოლებში, შრომა-ჯაფაში გალია!..
ოცდაცხრამეტი წიგნი აქვს გამოცემული აქამდე,
ჯერ მეორმოცეს ველარ ხცემს — გაჭირვებაა
ქალალდზე!
ხპეციალობით რკინიგზის ინჟინერ-მშენებელია
(რკინიგზელები მას დღეხაც მთავარ ინჟინრად ელიან!).
ხიმართლით, შეუპოვრობით, გულმოწყალებით,
წრფელობით —
ის — ოთარაანთ ქვრივია ჩვენი ქართული
მწერლობის, —
მახავით პირში მთქმელია, მკაცრიცაა და მოწყალეც!..
ვინც ახლოს იცნობს, ისინი აღმერთებენ და ლოცავენ!..
მწერალთა კავშირს მხახურებს, ნაღდ მწერლებს უდგახ
გვერდითა!
არ არის ტვირთი ისეთი, რომელსაც ნანა ვერ ზიდავს!
აქვს შემართება ქართველი მარადნეტარი დედების,
ანტიქართველებს არაფერს დაუთმობს არასდიდებით!
უბადლო დედა, მეუღლე და მომავალი ბებია —
ნანაში — ჰარმონიულად ერთმანეთს შეთანხმებიან!..
ნათელი მოგეფინება, შეხვედრა იცის ისეთი, —
მიხდამი პატივისცემით და მოკრძალებით ივსები!

. . .

ხიტყვით და ხაქმით რომ ებრძვი ათასგვარ
მამაძაღლობას,
თვითონ მე, ჩემი მკითხველი გიხდით დიდს,
ნანა, მადლობას!

„ნიანგის“ დავალებით — ზაურ ბოლქვაძე

ამოკლებულთა კრებულიდან

ოჯახიდან ამოიკვეთა წლებში კულტურის სამინისტროში მივიტანე პიესა. მთხრიან, — ათი დღის შემდეგ მოდიო!

მივედი ათი დღის შემდეგ.

მთხრიან, — ვინაც ოქვენი პიესა აქვს გადაცემულია წასაკითხად, ძალიან გადატვირთულია და ერთ კვირაც აცდიო!

მივედი ერთი კვირის შემდეგ. მითხიოს ერთ-ერთი ოთახის კარზე, — აქ არის და შედით, თვითონ ელაპარაკეთო!

შევალე კარი, — შეიძლება-მეთქი? — მობრძანებიხარ! მეც შევედი. ზის მაგიდასთან ტანსაცმლითი, ხელი ასაოკეზარა კაცი, მეკითხება, — რა გნებავთო? ვეუბნები: — პიესა თქვენთან ჰქონდა და პროფესიონალებს თქვენი შეხედულება

ვკარი მეთხა, პიესის სახელწოდება, ჩაფიქრდა. აწკრიალ შეტეკეო, არ მკონია პიესა ჩაკოთხეო. ეურა გამოალო, მიკეკ-მოკეკა, ისაფა ზეხა ეაკეა, ეინ ფალიდი მაგიდაეი, ფიქრობს, რა მითხიას, მერე ეუკეი ამითიხრა და ეაკარა ამერეკი ეგზოთქმით მითხრა:

— ჩემთვი ეინდა ჩაკოთხოთ, ისტორიაკეი, ეილერი, რასაკვირველია, ეილერიაეი!

დაუკითხავად წამოვაყენე ჩემს პიესას ხელი და უკეე ეარაკთან რომ ვიკეკი, ფიუფარაკი ღიმილით ვეუთხრი:

— თქვენ თვითონ რომელ ენაზე გაკეთ ჩაკოთხეთო ჩემოკი, ინტერფაკეი და ეილერი, რა თქმა უნდა, მითკეოდეთ? გამოიქმაზე ეკეტოკით, ალბათ, ფედანეთ, მაგრამ პიესა?!.

* * *

ტრილეიბუნი მოულოდნელად გაჩერდა, სამგზავრიანი პრიცესიას ეზა დაუფარა.

ბეეერდით ბჭდრმმმ მამაკაცმა შავადშეკილი მიეკანაზე წინ გაკრული სურათს რომ შეხედა, შეწუხებულმა ჩაილაპარაკა:

— აუ, მოკედა ეა ეაკეოდა?! — და გადმომიხედა კარკა, — ამის სიმპარა რომ ანკენებდნენ, ფალმის მოეკი ეკალეი მიაცილებდა ამის კეკმის, ამას კი ათი კინკალი კაკი მისდეეს!.. რა არის ეზოგრეხა!...

— სიმპარი, ალბათ, დიდი კაკი იეო, ან დამსაბრეზეული პირიეზეა!

— ეს იეო მაშინ, ეკალეაკინი, დიდი კაკიკე და დამსაბრეზეული პირიეზეა!

* * *

ბაბალი გიორგი ნატროშვილი ეეონილან „ფრიშას“ რედაქტორად რომ შეუშვიდა, მითხრა მიეუბენე — „ჩქარა მატარებელია“. — ეაბ ალბათ ფიდან შემდეგ მოდეო, მაგრამ ეს სანი დღე ააპ ოვეს გაკრძალდა. მიმხეარხა ბასთან სიარული და, ეფრო ზეხა თავის გამოსაცდელად, მითხრიან ეალეკეზედ ფაგზეი „ობლიანში“ მიეკანე. ეე მიეწინა მითხრიან და გაკრძალდით ორ ნოგრაში დაბეეედეთ.

ამ დღეებში „ზარი ვიხტეკის“ შენიბის წინ ანერო თეეზე შემხვედი, მომილოცა, — მოსეწონა შენი მოთხრობანი! ამ სუფსარში რომ ვარო, ეთოსეი მოგვალოდეთ. ეეკეი ზეეხნი ოფი რომ ვაეიგო, მითხრა, — ეი, ზეე ეაეკეთიხე, კარკი ეოთხრობა დაფიერეკი! ეი, ახეთი ეი რომ მოხეკანო, ამ ნიმეარზეეე გაეეუშვიმ!

— ეოგი, ეს ხომ ეა მოთხრობაა, ხაპ ოფეზე ზეტ ხანი რომ ვიდეეს ეურაზე? ეთან ამეკალ რედაქციაზი, თუ ვინდა, შეედარე!

— ა, ეოგი, შენი ეიირიმე! — ეხლი თქვა ანერომ, ზეტის თქმა ალარ ალალი ეიეალი. ეაკარად ზეეტეკეო, ეარ ამკონია ეიეალი. ეურა გამოალო, მიკეკ-მოკეკა, ისაფა ზეხა ეაკეა, ეინ ფალიდი მაგიდაეი, ფიქრობს, რა მითხიას, მერე ეუკეი ამითიხრა და ეაკარა ამერეკი ეგზოთქმით მითხრა:

— ზეხვეი ენდა ჩაკოთხოთ, ისტორიაკეი, ეილერი, რასაკვირველია, ეილერიაეი!

დაუკითხავად წამოვაყენე ჩემს პიესას ხელი და უკეე კარამდე რომ ვიკეკი, ფიუფარაკი ღიმილით ვეუთხრი:

— თქვენ თვითონ რომელ ენაზე გაკეთ ჩაკოთხეთო ჩემოკი, ინტერფაკეი და ეილერი, რა თქმა უნდა, მითკეოდეთ? გამოიქმაზე ეკეტოკით, ალბათ, ფედანეთ, მაგრამ პიესა?!.

* * *

ტრილეიბუნი მოულოდნელად გაჩერდა, სამგზავრიანი პრიცესიას ეზა დაუფარა.

ბეეერდით ბჭდრმმმ მამაკაცმა შავადშეკილი მიეკანაზე წინ გაკრული სურათს რომ შეხედა, შეწუხებულმა ჩაილაპარაკა:

— აუ, მოკედა ეა ეაკეოდა?! — და გადმომიხედა კარკა, — ამის სიმპარა რომ ანკენებდნენ, ფალმის მოეკი ეკალეი მიაცილებდა ამის კეკმის, ამას კი ათი კინკალი კაკი მისდეეს!.. რა არის ეზოგრეხა!...

— სიმპარი, ალბათ, დიდი კაკი იეო, ან დამსაბრეზეული პირიეზეა!

— ეს იეო მაშინ, ეკალეაკინი, დიდი კაკიკე და დამსაბრეზეული პირიეზეა!

* * *

ბაბალი გიორგი ნატროშვილი ეეონილან „ფრიშას“ რედაქტორად რომ შეუშვიდა, მითხრიან მიეუბენე — „ჩქარა მატარებელია“. — ეაბ ალბათ ფიდან შემდეგ მოდეო, მაგრამ ეს სანი დღე ააპ ოვეს გაკრძალდა. მიმხეარხა ბასთან სიარული და, ეფრო ზეხა თავის გამოსაცდელად, მითხრიან ალეკეზედ ფაგზეი „ობლიანში“ მიეკანე. ეე მიეწინა მითხრიან და გაკრძალდით ორ ნოგრაში დაბეეედეთ.

ამ დღეებში „ზარი ვიხტეკის“ შენიბის წინ ანერო თეეზე შემხვედი, მომილოცა, — მოსეწონა შენი მოთხრობანი! ამ სუფსარში რომ ვარო, ეთოსეი მოგვალოდეთ. ეეკეი ზეეხნი ოფი რომ ვაეიგო, მითხრა, — ეი, ეიეეე

ძველად ერთ



— შენგან არ მიკვირს, აბესალომ?! უკვდავების წყალი კი არა, გამოხდილი წყალი ვერ ვიშოვე აკუმულატორისათვის!

ოჯახის გასეირნება

სტუდენტი პოეტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ხალხმა მისცა დასტური!..

— ხალხს აღარ ეკითხებითო,
გამოყოფას რომ გაბყვირით?! —
ბრძანებდა იგი მოთავე
იმ სისხლიანი აპრილის!..

რეფერენდუმმა დაჩრდილა
ის ზრახვა მუხანათური
და ნანატრ თავისუფლებას
თვით ხალხმა მისცა დასტური!

ახლა რა მოიმოქმედოს
იმ შარზე მდგომმა ურჩხულმა? —
მალე ახალი მზაკვრობა
ეშმაკმა ჩაუჩურჩულა!..

— ეს ყველა უკანონოა,
კონსტიტუციას სცილდება,
ეს მხოლოდ გამოკვლევაა,
მას ხვა წესები სჭირდება!..

და ასე, აღარ თავდება
ავსულის იწილ-ბიწილო,
გზა კი ერთია: როგორმე
ურჩხული ჩამოვიცილოთ!

გამოცანა

რიგი მინტაის, მოივის,
ხანდახან ხეკიც გაჩნდება,
ხანამდე რიგებს მოივლის,
კაცს, ალბათ, სულიც გასძვრება!..
ხვრეპს გაწყალებულ არაყანს,
კეფირს რომ დამსგავსებია,
კარაქიც, ძეხვიც არა ჩანს,
რის ხორცი?! — აღარც ძვლებია!..
გზარავს ბენზინის ბალონის
სიცარიელის შეგრძნება,
თავისუფლება — ტალონით,
ციხე ურიგოდ გეძლევა!
დროშა წითელი ფერია,
ფრიალებს ლაღად გაშლილი,
სისხლიან ამ იმპერიას
ჰქვია .....

ბორის ოლეინიკს

ამდენ ცილისწამებაში
რას გაძლევენ ნეტავ, ბორის,
ნიშანოვის გასახარად
შუღლს რომ თესავ ერთა შორის?!

შენს მშობელ ხალხს რაღას ეტყვი,
თუ მასზეც ხარ გულაყრილი?!
არა მჯერა, რომ მოგწონდეს
უკრაინა ხუნდგაყრილი!

არ ჩაგესმის შევჩენკოს ხმა,
თვით შემოქმედს, თვითონ პოეტს?!
თუ მაგ ჩმახვას მოეშვები,
ჩვენს სიყვარულს კვლავაც ჰპოვებ!

„ჯავის რესპუბლიკა“?!

სამართალი უკვე აღსდგა,
შეუერთდა გორს ცხინვალი,
ოს ექსტრემისტს აღარა აქვს
სახე დიდად მობრწყინალი!..

იქ ყორნისიც, ძველქართული,
კვლავინდებურ ერწყმის ქარელს,
ყველა ქართველს მივულოცავთ
ამბავს, დიდად გასახარელს!

ექსტრემისტი, გულბოროტი
კვლავ ბნელი გზით, ნუთუ, წავა?!
ჩვენი მიწა შემოაკლდა,
ჯერჯერობით დარჩა ჯავა!

ნუთუ ჯავის რესპუბლიკას
აქაც შექმნის დაბოღმილი,
რომ ჩვენივე მიწა-წყალი
ძარცვოს, ცეცხლით გაღობილი?!

ექსპრომტად პერეს დე კუელიარს

პატივცემულო ყველასგან
პერეს დე კუელიარო,
მინდა, რომ სიმართლის გზებით
მუდამ ამაყად იარო!

ბევრი სიკეთე დათესე,
ბევრს მიეც რწმენის საგზალი,
ჩვენთან რომ მოხდა მიწიხძვრა,
დეპეშას კრემლში რად გზავნი?!

ახლა რომ იცავ კბილებით
მოზამბიკებს თუ ზამბიებს,
თავისუფლების აკვანი
ჩვენ ათასწლობით ვარწიეთ!

ჩვენც გვყავდა ჩვენი მეფენი,
ქართული გენი ზეობდა,
ჩვენ რომ ქრისტეს რჯულს
ვიცავდით,
ზოგი ველურად რჩებოდა!..

მინდა, რომ მუდამ გახსოვდეს
ღვთისმშობლის წილი ალაგი
და მისამართი: თბილისი,
ათას ხუთას წლის ქალაქი!

ჰიაკოპონა

ცეცხლი შემოუნთეს
უწმინდურს და
გარშემო უვლიან
ვანდალები:
— არული, არული
კუდიანსა! —
ცეკვავენ მალაყის
გადავლებით.

რაც მან წმინდა მიწა
აპარტახა,
ხალხი წელში ველარ
გაიმართა!..
— არული, არული!
კუდიანსა! —
მის ძელთან დავლური
გაიმართა...

იქნებ თვისი ნებით
ჩამობრძანდეს,
ქართული ცის თაღი
მიატოვოს?!
შენც არ მომიკვდები! —
ძვრა არა აქვს,
უნდა, რომ ცივ ქვაშიც
იბატონოს!

თვითონ მოძალადეს,
თუ არ ძალით,
ვინ დაძრავს მაღალი
კვარცხლბეკიდან?!.
— არული, არული
კუდიანსა! —
ცეცხლებს უჩხრეკავენ
საჩხრეკითა!

და როცა ძეხვივით
შეიბოლა,
ქოქოლით წყევლები
მიაყარეს:
— არული, არული
კუდიანსა,
არული ტირანებს
ყიამყრალებს!

მერე ჩვენს მიწაზე
მოყარავდა
(მის ნეშტს იქ დამარხვა
არ ეღირსა!),
— არული, არული
კუდიანსა,
სარცხვენად დამსხვრეულ-
დაჩეხილსა!

ჩამოხსნეს ჯადო და
ტაძრისაკენ
მიიქცნენ ლოცვად და
საკანდელოდ,
რეკვა შემოესმათ
საუფლოდან: —
არული კუდიანს,
ჯვარი საქართველოს!

თბილისი, ბაქო და ერევანი

ი. გრიშაშვილისებურად

თბილისი, ბაქო
და ერევანი! —
რა მწარე თქმაა,
სისხლმოცხებული,
ერთი ურჩხულის
სამი ზვარაკი
„ძმურ კავშირშია“
დამონებული!

სული ვერცხლის მხვეჭელთა

რბიან დრონი უნდონი
და საბედისწერონი,
ვიღაცაში ჩასახლდა
ისევ სული ნერონის!

ისევ ავი სულების
მოზღვავება გვაწუხებს,
ისევ კალიგულები
დღეს გვიჭერენ მარწუხებს!

მაშ, რა უნდათ ამნაირ
მარტებსა და აპრილებს?!.
ვიღაც ორლესულების
ჩარტყმას კვლავაც აპირებს!

ბოროტება შებმია
შვებასა და სიკეთეს,
იქ, დაკბილულ ქონგურთან,
ისევ ბუდეს იკეთებს!

გოლგოთისკენ მიმავალთ
ისევ ვხედავთ ჯვარცმულებს,
შენიღბული ტირანი
გვატყუებს და გვაცურებს!

რბიან დრონი უნდონი
და საბედისწერონი,
იქ, დაკბილულ ქონგურთან,
სისხლს ხაკლისობს ნერონი!..

კვლავ იუდას ამბორი
ნამდვილ კოცნად გასაღდა,
სული ვერცხლის მხვეჭელთა
ვიღაცაში ჩასახლდა!

თავი იმარილოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორესკა

ოზურგეთს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქციის კორესპონდენტთა ჯგუფი ეწვია. სტუმრებმა გადაწყვიტეს რაიონული ცენტრი და მისი გარეუბნები ფეხით შემოევლოთ და ყველაზე საინტერესო ადგილები ფირზე აღებეჭდათ. მათ მეგზურობას ოთარ ჭინჭილაძე უწევდა.

ზღაპრული ბუნებით მოხიბლული ამერიკელები აღტაცებას ვერ მალავდნენ.

— ჩინებულია! სამოთხეა! — წამდაუწუმ გაიძახოდნენ და ფოტო-აპარატების ჩხაკუნსაც ბოლო არ უჩანდა!..

უცებ სივრცე ქალის შემაზრზენმა კივილმა გაჰკვეთა. კორესპონდენტებმა ნაბიჯს აუჩქარეს და დაუყოვნებლივ იქითკენ გაემართნენ, საიდანაც კივილის ხმა მოდიოდა. სილიბისტრო დარჩიას ეზოს ჭიშკარს რომ გაუსწორდნენ, ასეთი სურათი წარმოუდგათ: ვეება კაკლის ხის ქვეშ სილიბისტროს ცოლი ფეხქვეშ მოეგდო და უმოწყალოდ სცემდა!..

მონჯღრეული ჭიშკრის გაჭრიალებაზე სილიბისტრო წამოხტა და, უცხოელებს თვალი რომ მოჰკრა, უხერხულად შეიშმუშნა, სიმწრის ოფლმა დაასხა. წამებს უნდა გადაეწყვიტა ყველაფერი. იცოდა, თავს თუ ვერ იმართლებდა, სენსაციის მოყვარული უცხოელები საქვეყნოდ გამოაჭენებდნენ სილიბისტრო დარჩიას, რომლის ჯიშსა და ჯილაგს მანდილისადმი თაყვანისცემით მოჰქონდა თავი!

ჯგუფს ერთი ამერიკელი გამოეყო, სილიბისტროს მიუახლოვდა და სუფთა ქართულით შეეკითხა:

— რამდენადაც ვიცით, საქართველოში ქალს ძაღლიც არ შეუყეფს, მას ყველგან პატივით ეპყრობიან, თქვენ კი რა დაგაშავათ ცოლმა ისეთი, ბატონო ჩემო, ასე უმოწყალოდ რომ სცემთ?!

სახტად დარჩენილ, გაოგნებულ ოთარს დანა პირს არ უხსნიდა.

— თავად ბატონო, — დაიწყო სილიბისტრომ, — ვითმინე, ვითმინე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მოთმინების ფიალა ამევსო, ამ დღეში ჩამაგდო ამ დედისშობილმა!

— ხომ არ ეპვიანობთ, ბატონო სილიბისტრო?

— აგერაა, ძამა ოთარი, ჰკითხეთ და გეტყვით, როგორი ოჯახი მაქვს, მაგრამ მაგის სიჯიუტეს საზღვარი ვერ დავუდე. დაიჩემებს რამეს და, კაცი ხარ და, ნუ შეუსრულებ; ტვინს ამოგჭამს, სულს ამოგაძრობს!..

— რა უნდა აიჩემოს ისეთი?

— გაგეცინება კაცს. ახალი დაქორწინებულები ვიყავით, ოზურგეთში რომ ველოსიპედი გამოჩნდა. გამოჩნდა და იმ დღიდან მოსვენება დაკარგა, თუ არ მიყიდი, თავს მოვიკლავ, სუფსაში გადავვარდებიო! ხათრი ვერ გავუტეხე სამი თვის ორსულს და ცინცხალი ველოსიპედი საჩუქრად მივართვი. ჰოდა, არ გასულა ერთი კვირაც და თემშარაზე ჯირითისას, მოსველებულზე თვლები მოუცურდა და ხრამში გადაიჩეხა, მუცელი მუცლად მოეშალა. ამას ვინ ჩიოდა, მოსკოვსა და ლენინგრადში რომ ვერაფერი მოუხერხეს, ლონდონის სამეფო საავადმყოფოში გადავაყვანინე, სადაც ამ ქვეყნისკენ მოაბრუნეს.

— სამწუხაროა, ამბავი დაგმართნიათ, ბატონო სილიბისტრო!

— ეს რაა, ძამა, — გათამამდა სილიბისტრო, — ეს მხოლოდ შესავალია! გავიდა ხანი და ვიღაც ჩემი ცოდვით დამწვარმა რაიონში მოტოციკლი შემოაგრიალა. და საიქიოდან დბრუნებულს ყველაფერი დაავიწყდა, გინდა თუ არა მიყიდე, თორემ სუფსის ლუკმა გავხდებიო! უარი ვტკიცე. არაფერმა არ გაჭრა, სახლიდან გაიპარა და მდინარეში მართლაც გადავარდა!.. ძლივს გადაარჩინეს დახრჩობას! რა უნდა მექნა?! ავდექი და ვუყიდე!

ფინალის მოლოდინში პირდაფჩენილი კორესპონდენტი ხელებს ასავსავებდა და თვალს არ აშორებდა ექსტაზში შესულ სილიბისტროს, რომელიც რიხიანად განაგრძობდა:

— უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულს ამჯერადაც მიმუხთლა ბედმა, ზუსტად მეორე კვირისთავზე, დარო—ეს ჩემი ცოლი გახლავთ — გაქანებული მოტოციკლით ხეს შეასკდა და, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა!

— მაშინაც ორსულად იყო?

— აპა, არა?!

— მდა! უბედურებაა პირდაპირ!

— ეს კიდევ რაა! ჭკუა ვერ ვისწავლე მაინც. შემოვიდა „პობედა“ და აქოთქოთდა, მოსვენება დაკარგა, ორჯერ ხიდან ჩამოხსნეს მეზობლებმა. ჯანდაბას ჩემს თავს, რაც მოსასვლელია, მოვიდეს-მეთქი, — ვთქვი და ვუყიდე მანქანა. მაგრამ, ვაი ამ ყიდვას! მომშობიარობამდე ორი თვეღა რომ აკლდა, მაშინ, სწორედ მაშინ სუფსის ხიდის მოაჯირიდან „პობედიანად“ ისკუპა და თუ არა ლონდონის სამეფო კარის ექიმები, დიდი ხნის გამოტირებული მეყოლებოდა და მეც მოვისვენებდი!

— მართლაც რა არის ბედი! — ჩაილაპარაკა კორესპონდენტმა.

— ხალხნო, გაგიგონიათ ასეთი რამე?! ლამის ჭკუიდან შევირყე, ესეც უნდა მოვკლა და მეც თავი მოვიკლა, სხვა გზა არ არის! როგორ, როგორ ვუყიდო „ტუ-114“ მირჩიეთ რამე, ხალხნო, მიშველეთ რამე! კი, ბატონო ვუყიდი, გახედეთ ამ ცას, რამსიმაღლისაა! — სილიბისტრომ ცას ახედა, ხელი აიშვირა და დაუმატა, — იქიდან ქალი კი არა, კაცი რომ გადმოვარდეს, მიწამდე სული დაყვება?! დაყვება, ხალხო?!.

ოთარს სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა, კორესპონდენტებმა კალმები აწრიპინეს, ბლოკნოტებში რაღაც ჩაინიშნეს, სილიბისტროს ხელი მაგრად ჩამოართვეს და ეზოდან გაიკრიფნენ.

მეორე დღეს ოთარმა სილიბისტრო გამოიძახა.

— გუშინ ისეთი შიში მაპამე, არ მეგონა, ინფარქტი თუ არ დამემართებოდა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა, მაგრამ, თუ კაცი ხარ, მითხარი, რა მოხდა, რამ გაგამწარა ასე?

— ალალი ბიძაშვილი ავარიაში მოჰყვა,— დაიწყო სილიბისტრომ, — გუშინ დაასაფლავეს. ჩემს ქალბატონს ქვედასაცვალი არ ჰქონდა, მეზობლისგან ხუთი მანეთი ვისესხე, საცვალი ვუყიდე, რომ გასვენებაზე წავსულიყავით, მაგრამ დილაუთენია პლანტაციაში წასულა, საცვალი ჩაიში მიუხევია და ძმასავით კაცი დაუტირალი დამრჩა!.. არ ეკუთვნოდა ცემა?

ოთარს ენაცილი წასკდა!..

ამ შემთხვევიდან მეორე დღეს „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ქვეყნიერებას სენსაციური ამბავი ამცნო: „ქართველი გლეხი ისეთი მდიდარია, შეუძლია „ტუ-114“ იყიდოს!“

გრიგოლ გვაძაბია

ნახ. ჯ. ლოლუასი

— მაღაზიაში მიდიხარ?
— არა, მაღაზიიდან მოვდივარ!

დიალოგები

— რა ვქნა, სიდედრო, იალტის საგზური ვერ გიშოვე და კისლოვოდსკისა მოგიტანე!

— მერე, კარგია?!..

— უჰ, შეხანიშნავი! ამსანაგმა მითხრა, შარშან ცოლი გავაგზავნე და ჯერაც არ დაბრუნებულაო!

* * *

— გამარჯობა, კიმოთე, როგორა ხარ, კაცო?!

— აბა, როგორ ვიქნები?! ხამი თვეა, ვწევარ, მიქელგაბრიელს ველოდებოდი, არ მოვიდა, ავდექი და ახლა მე მივდივარ მასთან!

* * *

— ბატონო დირექტორო, გავიგე, მდივანი გეხაჭიროებათ და, აი, განცხადება გაახლეთ თქვენს სახელზე!..

— დატოვეთ, გენაცვალე! თქვენს გარდა, ათი კიდევ არის და, კონკურსს ჩავატარებთ!

— ხილამაზეში?

— არა, პროტექტორებში!

გიგო ნინაშვილი

ბოსტვაურის ანეკდოტები

ფხელშელი ახალგაზრდა კაცი ხინკალს მიირთმევდა და თან ერბო-კვერცხსაც აყოლებდა.

მეუღლემ თვალი შეასწრო და გაოცებით ეკითხება:

— ბიჭო, რაია ეგა, ხინკლისა და ერბო-კვერცხის ერთდროულად ჭამა ვის გაუგია?!

ახალგაზრდა კაცმა ლუკმა გადაყლაპა და მეუღლეს ღიმილით უთხრა:

— კარგიღა ჩე, მაყვალაისი, რას გაიკვირვე, ხინკალი და ერბო-კვერცხი ერთნაირად მიყვარს!

* * *

თბილისში ახალჩასულმა მოხევე დედაკაცმა შეგრილკაბიანი ქალიშვილი რომ დაინახა, გაოცდა, შემდეგ ხელის შეხებით შეაჩერა და ყოველგვარი ბოდიშის გარეშე გაბრაზებული ტონით უთხრა:

— ქალავ, შენს მკერავს თოლებზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული, შეგრილი კაბა რომ შეუკერავს?!

ქალიშვილს გაეღიმა და თავაზიანად უპასუხა:

— დეიდა, დღეს მოდაა ასეთი — აქაური ქალიშვილები და ახალგაზრდა ქალები — ყველა ასეთნაირი შეგრილი კაბებით დადიხ!

— რას ბოდავ, შე სასიკვდილევ, შენა?! რომელ მოდაზე მელაპარაკები?! ხირცხვილია ეგეთი კაბით ქუჩაში გავლა, დუნიაზე სახაცილოდ გაიხდი თავსა! წამო, გამომყევი ნემსსა და ძაფს სადმე ვიშოვი და საჩქაროდ ამოგიბლანდავ!..

* * *

ჩხუბის დროს, პატარა ტანის სანდრომ, ძირს მოიგდო მაღალი აღნაგობის მეზობელი და ცემა-ტყეპა დაიწყო!..

მიწაზე დაგდებული მეზობელი იხტიბარს არ იტეხს და მუდარის კილოთი კი არა, ჩვეულებრივი ხმით ეუბნება:

— სანდრო, თუ კაცი ხარ, ამიშვი!

— არ აგიშვებ! — უპასუხებს სანდრო.

— ამიშვი, სანდრო!

— არ აგიშვებ?!

— ამიშვი-მეთქი, თორო დაგვინახავს ვინმე და მაშინვე იმას იტყვის, —სანდროს თავისი მეზობელი გეჯურაი ფეხსატმელს ახდევინებდაო!

* * *

ბერბეტელ იმედას, თბილისში ყოფნისას, ავტობუსში უკან მდგომი უცნობი მანდილოსანი ეკითხება:

— ბატონო, შემდეგ გაჩერებაზე ჩაბრძანდებით?

— დიახ, ჩავდივარ, ხომ არაფერს დამაბარებთ?!

* * *

შუახანს გადაცილებული გორიხციხელი კაცი ქალაქის ერთ ხასურსათო მაღაზიაში შევიდა და თაროებს შეავლო თვალი. თაროებზე რომ ვერაფერი დაინახა, იქ მარტოდ მყოფ გამყიდველს ასეთი კითხვით მიმართა:

— მაინტერესებს, ამ თქვენს მაღაზიაში რა იყიდება?

გამყიდველს ასეთი კითხვა რატომღაც ეუცნაურა, ამასთან ერთად ახლად შესულიც არ ჩათვალა სრულ ჭკუაზე მყოფად და მკვახედ უპასუხა:

— რას ვყიდით, ამხანაგო, და, ხულელებს!

მაღაზიაში შესულ კაცს გაეღიმა და უმალ ასეთი პასუხი მიაგება:

— შესანიშნავი ვაჭრობა გქონიათ, მეგობარო, მარტო თქვენღა დამრჩალხართო!

* * *

გოდერძი ეტრაბახება ონისეს:

— ონისე, ძმაო, მთელს დუნიაზე ჩემი მომრევი კაცი არ იქნება!

ონისემ გაიკვირვა და უთხრა:

— როგორ თუ შენი მომრევი არავინ იქნება?!

— მე მაგარი სირბილი ვიცი, ჩხუბის დაწყების წინ, როცა დავრწმუნდები, რომ მოწინააღმდეგე დამჯალდავს, უმალ მოვკურცხლავ და ისიც ვეღარ დამეწევა!..

* * *

ჩრდილო კავკასიის ერთ ოსურ სოფელში ახლად ჩასული გუდამაყრელი ეკითხება დროებით იქ მცხოვრებ მოხევეს:

— ჯურხავ, თუ კაცი ხარ, მითხარიღა, აქ როგორი ხალხი ცხოვრობს?

— ნუღარ მკითხავ, ძმაო; აქაურები კევს ისე გაგაცლიან პირიდან, რომ ისევ მაჯახლებს იქნევდე!..

* * *

კაცა ჩქარეულმა, მეზობელი თანატოლის ტანზე ახალშეკერილი შარვალი რომ შეამჩნია, გაკვირვებული დარჩა. შარვლის ტოტი ერთი გრძელი იყო, ხოლო მეორე — შესამჩნევად მოკლე.

— რაი მოგივიდა, კაცავ, როგორი გაკვირვებული თოლებით მიყურებ?! — ეკითხება მეზობელი.

კაცამ ჩაიცინა და ღიმილით უთხრა:

— ალუდავ, შენმა მკერავმა იატაკზე დაგაწვინა და შარვლის ზომა ისე აგიღო?!

* * *

ბაბა წიკლაური მეზობელმა თანატოლმა ხტუმრად მიიწვია ოჯახში.

როცა ხუფრას შემოუხდნენ, მასპინძელმა სადღეგრძელოების კორიანტელი დააყენა. კარგად შეზარხოშდა და სადღეგრძელოების თქმაც უკვე მობეზრდა, გაგას მიუბრუნდა და უთხრა:

— გაგავ, ეხლა შენი ჯერია, ეხლა შენ თქვი სადღეგრძელო!

— აბა, რაიღა ვთქვა, გუგუავ, შენ ხომ სუყველაფერი მოიგონე! მარტო ერთ რამეს გირჩევ, ძმაო! თვითმფრინავში არახოდეს ჩაჯდე, თორემ იმდენს ილაპარაკებ, რომ პილოტს იმის ხაშუალებასაც არ მისცემ, აეროდრომზე დაჯდეს!

* * *

— ბიჭო, იხევ ძველ ადგილზე მუშაობ? — ეკითხება ზაქრო დიდი ხნის უნახავ მეგობარს.

— ჰო, ისევ იქა, აბა სხვაგან სად უნდა წავიდე?!

— შენიც ალარ გამიგია, ძმაო, გაკვირვებული ვარ, მაგ სამუშაოზე „დაგასვარკეს“ თუ?!.

* * *

გორიხციხელ კაცს თბილისში ერთი უცხო რჯულის კაცი ეტრაბახება:

— ჩვენ ვმრავლდებით და, თქვენ, ქართველები კი არა!

— ეს როგორ გავიგო?! — ბრაზნარევი ხმით ეკითხება გორიხციხელი.

— ძალიან უბრალოდ, ძმაო! ჩემი რჯულის თითო ადამიანს ხუთი-შვიდი და კიდევ მეტი ბავშვი ჰყავს და ქართველებს კი საშუალოდ ერთი-ორი, ან ისიც არა!

გორიხციხელმა კაცმა ამაზე ასე მიუგო მშვიდად:

— მეგობარო, შენ კარგად იცი, რომ ჯიხვი წელიწადში ერთ თიკანს იძლევა, ხოლო ღორი კი — ათს, თხუთმეტს და შეიძლება კიდევაც უფრო მეტ გოჯს. მიუხედავად ასეთი შეუსაბამობისა, ჯიხვის ფარა ბევრს ნანახი და გაგონილი აქვს, ხოლო ღორის ფარა კი არავის!

* * *

ღვინისმოყვარულმა გიგიამ მეზობელთან დაიჩივლა:

— წუხელის, გაგავ, ცხვრის თეოზე გდებით შემცივდა და ბეჭები გამეჭვალა!

— იოლია მაგისი წამალი: ერთი ჩაის ჭიქა სპირტი ან ორნახადი არაყი აიღე და შეციებული ბეჭები იმითი დაიზილე!

— შენც ლაპარაკობ, რაიღა! სპირტითა და არაყით ნეტავი ჩემთვის პირი და გულმუცელი ვისმე დაეზილა და ბეჭების ტკივილს ვინღა იჩივლებდა?!

* * *

— წუხელის ბევრი დალიე? — ბახა ეკითხება ისაკას.

— საკმაოდ ბევრი!

— მაინც რამდენი?

— ისე დავთვერი, რომ სახლამდის ვეღარ მივაღწიე!.. თურმე ბოსელში შევხულვარ და საქონლის ბაგაში ჩავწოლილვარ!.. იმ სატიალე ძროხას, თავისი ხბო თუ ვეგონე და მთელი ღამე ენით ველოკე...

* * *

— როგორ შეეგუე დედაქალაქს?— ეკითხება გაიოზი თბილისში ახალგადასახლებულ მეზობელს.

— როგორ შევეგუებოდი, ვერა ხედავ?— ნიშნის მოგებით უპასუხა მეზობელმა და კოტიტა თითები წინგამოშვერილ მუცელზე დაიტყაპუნა.

— ჰმ, — ჩაიღიმა გაიოზმა, ალბა რაია საკვირველი, ძმაო! რეტდასხმული თობლიც მალე სუქდება და შენც იმასავით მოგსვლია!



* * *

— არიქა, მიშველე რაიმე! — მუდარით უთხრა მეზობელმა ქალმა ანდროს.

— რაი ამბავია, ძიძიავ, რა მოხდა?! — შეიცხადა ანდრომ.

— ჩემმა კაცშავამ მთელი დღე არაყი სვა!.. როცა მაგრად დათვრა, ამოიჩემა, — წავალ და თერგში გადავარდებიო!

— ეხლა სადაა გუგუაი?

— თავქვე დაეშვა წყლისაკენ! ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ მოვაბრუნე!..

ანდრო უმალ ხირბილით გამოეკიდა!.. როცა დაეწია, გუგუას გვერდში ამოუდგა და რაღაც ჭირვეულობა დაიწყო:

— ხაით გაგიწევია, ანდრო? — ცოტათი გამოერკვა გუგუა.

— გუგუაუ, აღარ ღირს ცხოვრება, წყალში უნდა გადავვარდე!

— კარგიდა ჩე, რაი მოგსვლია, რა დროს წყალში გადავარდნაა?! თითქოს დამოძღვრა, მერე მძლავრი ხელებით შებოჭა, ზურგზე ჰოიგდო და სახლისკენ წამოაძუნძულა!..

* * *

თბილისიდან ჩამოსული რევიზორი საწყობის გამგეს ეკითხება:

— შენ, ამხანაგო, ასეთი დიდებული ოდა ხახლი რა წყაროებით ააშენე?

— ჰმ, — ჩაიცინა საწყობის გამგემ, — მაგას როგორღა მეკითხებით, ძმაო, ჩვენთან ცივი, ანკარა წყაროების მეტი რა არის?!..

— არა, ამხანაგო! — ხმაში სიბრაზე დაეტყო რევიზორს, — მე სხვა წყაროებზე გეკითხები!

— პატივცემულო, ანკარა წყაროების გარდა, ყაზბეგის რაიონში მინერალური წყალიც ბევრია!

* * *

რევიზორი თავის საქმეს რომ მორჩა, საწყობის გამგეს მიუბრუნდა და მუქარის კილოთი უთხრა:

— სერიოზული დარღვევები გაქვთ, ამხანაგო, თქვენი მოხაწონი აქტი ვერ დაიწერება!

— თუ ძმა ხარ, საქმე როგორმე გამომისწორე და დანარჩენი მე ვიცი!

— არა, ამხანაგო, არ გამოსწორდება-მეთქი!

— რასა ბრძანებთ, პატივცემულო, ლიანდაგის გამრუდებულ რკინას ასწორებენ და მაგ საქმის გასწორებას რა უნდა?!.

შეკრიბა ვიქტორ ჩქარეულმა,
(ყაზბეგის რაიონი, გაზეთ—„დარიალის“ რედაქტორის მოადგილე)

— მადლობელი ვარ, ექიმო, თქვენი წამალი ძალიან მოუხდა ჩემს ქმარს!

— უკვე აღარ აბოდებს?!

— აბოდებს კი არა, სამი დღეა, საერთოდ, ხმას არ იღებს!

ორანი სასაუბროდ

ორი ნოველა

„ჩემი შენ გითხარიო“ ანუ ალიონიდან იწყება!..

— ბაბუ, ბაბუ როგორ იყო ის თქვენი ლოზუნგი?: „სოფელი ქალაქს დავამხგავხოთო თუ მივუახლოვოთო“?! ჰა, ბაბუ?!.

— უყურე ამ ჭინკას?!.. რა იცი, გოგო, შენ მაგი?! — ჩუმ-ჩუმად ჩაიღიმა მოხუცმა.

— რა ვიცი და, მოვისმინე!.. დაუახლოვეთ კი? — არ ახვენებდა მოხუცს შვილიშვილი.

— ჰმ! დამცინი ხომ კი?! — ორაზროვნად უპასუხა მოხუცმა.

— ჰო, ჰო, ჰოვ, ახლა კი გაბრაზდება ბაბუაჩემი! — საუბარში ჩაერია უფროსი შვილიშვილი, — ხო, სწორს გეუბნება ეკა, დაუახლოვეთ?

ეს კი აღარ მოეწონა მოხუცს. უცბად იფეთქა და...

— შენი შეგულიანებული იქნება აგი ბაღანე! კარგს რას ასწავლიდი, ბბა, ღვთის პირისგან გადახული! უყურე ერთი ამახ?! — ცხარობდა მოხუცი, — თლად არ წავიდა ხელიდან?!.. უფროსი არ იციხ და უმცროსი!.. ჩვენ რაც გავაკეთეთ, გავაკეთეთ!.. ა, ბატონო, თქვენ ქენით აწი სიკეთე!

— ჩვენ?! ვინ გვაცლიხ მერე?! — სიტყვა ვერ გვითქვამს!.. — წყენით უპასუხა შვილიშვილმა.

— რას შემომიჩნდნენ ეს ბაღნები დღეს?! თავი დამანები, ბიჭო, არ ვარ შენს ხახიათზე!

— კი, მაგრამ, ისე, თქვე დალოცვილებო, რავა გააპარტახეთ ყველაფერი მამაპაპური! — უკან არ იხევდა თხუთმეტი წლის გოგიტა.

— სოფელს ვერ მოუარეთო, გააპარტახეთო!.. ვის უბედავ, შე ლაწირაკო! უყურე ერთი?!. ჩვენ თუ სოფელს ვერ მოვუარეთ, ვერც თქვენ უვლით ქალაქს! — დაიბეჭა მოხუცმა და მეორე ოთახში დააპირა გასვლა, მაგრამ კვლავ მოკრა სიტყვა შვილიშვილმა:

— რომ არ გვაცლით?!. თქვენ თქვენებურად გინდათ გაკეთოთ და ახე არ გამოვა!..

— გვაცალეთო!.. ამ სიბინძურის მოშორებას რაღა ცდა უნდა?! აივსო ქალაქი მღრღნელებით და მწერებით!.. საქმის გაკეთება ახალგაზრდებს არ გინდათ და, ისე, თავისთავად, ჯერ არაფერი გაკეთებულა! თავის შეუწუხებლად გინდათ მიიღოთ ყველაფერი!.. შენხელა მეფე ერეკლე ქვეყანას ატრიალებდა! შენ კი მთელი დღე კოტრიალობ, წიგნის კითხვა შენ არ გიყვარს და საქმეს ნუ იტყვი! ამხელა ბიჭი მთელი დღე ან ტელევიზორს უყურებ, ანდა აღმა-დაღმა დაყიალობ! შენი აშენებული ქვეყანა შენნაირი იქნება სწორედ! — არ ცხრებოდა მოხუცი, ჭერიხაკენ შემართულ თითს ჰაერში იქნევდა და იმუქრებოდა: — ერთი მაგარი პატრონი გინდათ, რომ დიდი და პატარა ჭოჩორზე გატრიალოთ! მაშინ მაგ ჯაზებს კი არ მიუჯდები, თოხით გახვალ მინდორში და ყანას მოუვლი, ხარეველებით რომაა ხავხე! არა, ბატონო, მუშაობა თქვენ არ გინდათ და ჭამა კი!.. იცოხლეთ, პირის გემო კარგი გაქვთ!..

— ოოო, მომიყვანა ახლა თავისდროინდელი მეორე ლოზუნგი! — ჩაიბურტყუნა გოგიტამ და გაგულისებული გავიდა ოთახიდან.

— სიტყვა ვერ გითქვამს კაცს ოჯახში, სიტყვა, ისეა ყველა გადიდგულებული! რა ვთქვი ეხლა ისეთი?! არ გეკადრებათ, ხომ კი?!. გაფუჭდა ახალგაზრდობა! ნამეტანი ფერებამ იციხ მაგი! ნაირნაირებს ითხოვთ, არ გეოფნით არც ფეხზე და არც ტანზე! თავის შეუწუხებლად გინდათ კარგი ცხოვრებაც, უმაღლესიც და დიპლომიც! ეს — პროტესტიო, ეს— შიმშილობაო, — განაგრძობდა იგი, — არა, თქვენი ჭირიმეთ, რაც ეხლა ხდება, ჩემს დღეში არ გამიგია! გაგიგიათ ასეთი ამბავი?!. ძაღლებით აივსო ქალაქი და გამკითხავი არავინაა! — ახლა ძველ ამბავს მიუბრუნდა მოხუცი, — ქუჩაში ვერ გაგივლია კაცს, მაღაზიაში ვერ შესულხარ, ყველგან ლაშდაღებული მშიერი ძაღლებია!.. საიდან გაჩნდა მაინც ამდენი მაწანწალა ძაღლი ქალაქში, ჰა?! საკვირველია სწორედ!..

— მაგი მე ვიცი, ბაბუ! საიდან გაჩნდა და...

— თქვა ეკამ და ბაბუამისისკენ გაექანა.

— საიდან, ბაბუ?

— საიდან და, აგერ, ნინომ მითხრა, ჩვენი საცოდავი მიკი ვაკის პარკში დავტოვეთოო!..

—რაო?! დავტოვეთოო?!, რატომ, ბაბუ?!:

— რატომ და, ხაჭმელს ვეღარ ვაჭმევთო და მიტომ! ხორცი და ძეხვი გაძვირდაო და, საცოდავი მიკი მარტო მიატოვეს!..

— უყურე შენ?!. მოდას აყოლამ იციხ მაგი, ბაბუ!.. აააა, ამას ვებრძოდით ჩვენ!..

— ძაღლებს, ბაბუ?!

— ძაღლებს კი არა, ბურუუაზიულ გადმონაშთებს!.. აყვნენ ფეხის ხმას უხაჭმური დედაკაცები! ბავშვის მოვლა არ უნდათ და ძაღლების მოფერებით ირთობენ თავს! მე ჩემი მითქვამს და!.. ამრავლეთ ძაღლები, ამრავლეთ, ბატონო, და, რაც დღე დაგადგებათ, ქე ნახავთ თქვენი ლამაზი თვალებით!..

უცებ მოხუცმა მიმოიხედა, ოთახი ცარიელი იყო. — ვიხთვიხ ვლაპარკობ ახლა მე?!. ჩემთან საუბარს გაურბის ყველა!.. ეჰ, ახეა ხიბერე! თქვა მან, ხელი ჩაიქნია და ყველაფერი წელთა სრბოლას გადააბრალა.

გათენებისას აივანზე მყოფი მოხუცი ძაღლების ყეფამ და კატების კნავილმა გამოაღვიძა.

— ჭირმა გაგწყვიტათ ერთ დღეს! აგია ცხოვრება?! ალიონიდან იწყება ჩემი ტანჯვა!. ვერ გამიგია, სოფელში ვარ თუ ქალაქში! — ცხარობდა მოხუცი და ვიშვიშით თავის საწოლისაკენ მილასლასებდა.

მართალია თუ?!.

პაპანაქება სიცხეში, როგორც იქნა, ქშენითა და ფრუტუნით აათავა აღმართი, ჩრდილში შეჯგუფულთ მიუახლოვდა, ერთი მათგანი გვერდზე გაიხმო და ჩუმად ჩასჩურჩულა: „აქეთ მოიწი, ახალი ამბავი მაქვსო სათქმელი!“ როგორც იქნა, ზანტად ადგა იგი, თავისიანებს შეუმჩნევლად გამოეყო და ბუზღუნით მიუახლოვდა მოხულს.

— რა დაგემართა?! ამ სიცხეშიც არ მომცე საშველი!

— ახალი ამბავი გავიგე და მაშინვე შენკენ გამოვწიე! — მიუგო უმადურ მეგობარს.

— რა იყო ახეთი, აღარ იტყვი?! —დაინტერესდა დამხვდური.

— რა და!.. აქეთ მოიწი, ხხვამ არ გაიგოს!.. რა და ...ჩვენს სოფელში ფერმა იხსნება!

— ფერმაში არ ვართ?! — დაცინვით თქვა და, ის იყო, წახვლა დააპირა, რომ გაგულისებით მიუგო მოხულმა:

— ნუ ხარ უცნაური, მომისმინე!.. მაგ შენ კოლმეურნეობას, კარგახანია ძირი გამოეთხარა! — რო მიდიხარ, სად მიდიხარ, მიხმინე, თორე მერე გვიან იქნება!..

— ჰოდა...

— ის რომ, ახალი ფერმა იქმნება!..

— რა განსხვავებაა მითამ?! — არ ცხრებოდა იგი და თან ალაპლაპებულ კისერსა და თავს მზეს არიდებდა.

— რა განსხვავებაა და... ჯერ ერთი, ერთი კაცის ხელში ვიქნებით, ერთი პატრონი გვეყოლება და ხაქმისათვის თუ არა, სხვების დასაწყნარად მაინც კარგს გვაქმევს და კარგს გვასმევს! მეორე ის, რომ ბინაც კარგი გვექნება: ფერმერი იქნება ჩვენი პატრონიც და მფარველიც, აბა!.. იყავი და შეიფერე კარგი ცხოვრება, თუ არადა, ამოვიდა ხული ულში! — უთხრა და ნიშნის მოგებით გადახედა.

— ვინაა მერე მახეთი, რომ მოგვიაროს?! — კვლავ ეკვის თვალებით გადახედა მოსაუბრეს.

— ვინაა და... ჩვენი მწყემსი... კაკოიშვილი რომაა!..

— უყურე შენ მაგას?! რით შეძლებს მერე ყოველივეს?!.

— ფერმას თურმე უკვე აშენებს. თადარიგი დიდიხანია დაუჭერია!... რით შეძლებსო?!. ასე რამ გამოგაშტერა, რომ ვერ ხვდები?!. არ გახსოვს, ჩვენი ყველი მამამისმა მამახიხლად რომ ყიდა ბაზარში!.. ჰოდა, ახლა მამა-შვილი, ორივენი, ფერმერები ხდებიან!.. შენი ხაქმე არაა მაგი! მიხედე იმ შენ გადარჩენულ შვილს, აღმა-დაღმა რომ დარბის, ხორცი აღარ შერჩა და ფერი!

— მაგას დაამაგრებ?!. შენი შვილი შენ გგავს, მიდი და მიხედე! — თავისებურად აკაპასდა იგი.

— არ მცალია მე თქვენთვის, ხაქმეები მაქვს მოსაგვარებელი!.. მიხედე ხაქმეს, თორემ მერე გვიან იქნება! თუ შერჩით კოლმეურნეობას, იცოდეთ, კარგი დღე არ დაგადგებათ! მე ველარ გიშველით! არ გახსოვს შარშანდელი, მთელი ზამთარი რა დღეში ვიყავით?! მიხედე, მიხედე ხაქმეს! — უთხრა და დალმართისაკენ გაუყვა გზას.

წავიდა და ხაგონებელში ჩააგდო მეგობარი.

რა ვქნა ახლა მე?!. ნეტა, მართალია თუ, ჩემი მოტყუება უნდა ძველებურად. გამოიჩინა ვითამ ხაქმე! — ფიქრობდა იგი და მზისაგან გარუჯულ მიწას მიშტერებოდა.

— რაო, გოგმანავ, რას გაშტერებულხარ, რა გითხრა ისეთი ნიშიამ?! იმ შერცხვენილმა ჩვენკენ არც კი გამოიხედა, უცხოსავით ჩაგვიარა, არც კი ვახსოვართ!..

— უყურე ამ ბეხრეწს?!. საიდან გაჩნდა ეს მეპორე?!. მაგისთვის მცალია ახლა?! გული გახეთქვაზე მაქვს! — გაიფიქრა და ძალაუნებურად შეეხმიანა.

— ბოჩიაზე მითხრა, მიხედო!..

— მეტი არაფერი? — ეკვის თვალებითა და ველრებით შეათვალიერა იგი.

გოგმანამ კითხვაზე აღარაფერი უპასუხა, ზურგი შეაქცია, მარჯვნივ გადაუხვია და შვილს გადასძახა:

— ეგებ მართალია! დაგვადგება მითამ საშველი?!. უშველებელი ჩვენ მტერს დაადგეს! ნამდვილად მართალია, თვარა ამ გახვითქულ დღეს ამ აღმართში ამოიყვანდი მაგას?! — გაიფიქრა მან და ნაბიჯს აუჩქარა, რომ დროზე წაეყვანა თავისი ერთა იმ ადგილას, სადაც ერთი კვირის წინ ლორთქო, აბიბინებული ბალახი დაიგულა.

ილუსტრაციები ბ. ლომიძისა

ნახ. ვ. კუციასი



საბჭოური ბუტერბროდი

ბიბიკიამ სამშობიაროში მიიყვანა ცოლი და დაბლიდან ასძახა ფანჯრიდან მომზირალს:

— თუ გოგო იყოს, პამიდორი დამიძახე, ქალო! თუ ბიჭი — კიტრი!

საღამოს მიაკითხა, ასძახა ეზოდან:

— რა გყავს?

— სალათა!

ამის შემყურე მეკარე და „მახარობელი" სანიტრები დამდუღრულივით გაიქცნენ.

— შეხე, ფული არ უნდა გადაიხადოს, ქვემოდან გამოდის! რა წუწურაქი ვინმე ყოფილა! ფერი ფერსა, ცოლიც რომ თავისნაირი ჰყოლია!

ვანო ორჯერ დარჩა IV კლასში.

— კიდევ ორიანებს ღებულობ, შე სასიკვდილევ?! — დღიურის გასინჯვის შემდეგ დაუცაცხანა დედამ: — ისევ დარჩები! როდისღა დაამთავრებ სკოლას?!

— შენ არ მეუბნებოდი, სწავლა, სწავლა და სწავლაო?! ის კი არ გითქვამს, დაამთავრეო!



თათბირის დაწყებას საშველი არ დააგდგა, მმართველმა ჯერ ხალხს გადაავლო ნაბახუსევი თვალები და მერე ზმორებით მადიანად დაამთქნარა.

— ივანიჩ, არ დახუროთ, განცხადება მაქვს შემოსატანი! — უთხრა ყველაზე ავყია „პერესტროიკის" მომხრე თანამშრომელმა.

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, მმართველს ნაძალადევი ღიმილი მოერია და კრება გახსნა.

მლიქვნელებს მოგუდულად გაეცინათ.

— შენ აგაშენოს ღმერთმა, არ გადაგვარჩინე?! ცოტაც გაწყდა და კინაღამ ხვრინვა ამოვუშვით!

სიმამრმა სიძეს სოფლიდან თოხი ჩამოუტანა.

— ა, შენ მამაპაპური თოხი, მებაღეობაში გამოგადგება!

სიძემ ახედ-დახედა საჩუქარს, მერე ამრეზით თქვა:

— იმე, ამას მოკლე ტარი აქვს, არ ვარგა!

— არა აქვს ამას წუნული! შენ ლოჯიიდან თუ გინდა თოხნო, არ ვიცი!

I სტუდენტი: — გაიგე, ჩვენს ლექტორს, სიმამრის მარიფათით გაპროფესორებულ-გამეცნიერებულს, წუხელ მანქანა რომ მოპარეს?

II სტუდენტი: — როგორ არა! ქურდის ქურდი არ წაწყდება!

გაზრდილ დაბრუნებულ მეზობელს მეზობელი ეკითხება ავტობუსში:

— დილას სოფლიდან კანისტრები ცარელა წამოიღე, რით გაავსე, რა იყიდე?

— არაფერიც არ მიყიდია! წყალი მიმაქვს!

— თბილისიდან?

— ჰო, თბილისიდან, ჩვეულებრივი წყალი, თბილისის წყალი ანტიბიოტიკებითაა სავსეო, — წერენ გაზეთები, ჩემ დედაკაცს გრიპი აქვს, აფთიაქში წამალს ვერ იშოვი: რა ურიგოა, იაფი და იორღა!

— ემანდ არ გამაბრიყვო, ჭკუა კი არ დამიშლის, უკან გავბრუნდები!

საუბრობს ორი ქალი.

— რა კარგ ფორმაში ხარ? როგორ გახდი?

— იცხოვრე ჩემს რძალთან ორი თვე და ჯოხზე გადასაკიდი გახდები!

კახელი: — არ მოვატყუე რო გურული! ღვინოს ვასმევდი გათლილი ჰიქით, მე კი ჩარექიდან კრუშკაში წყალს ვისხამდი!

კარის მეზობელი: — ძალიან არ მოგიტყუებია! ის ნატურალურ ღვინოს სვამდა, შენ კი ნიტრატებიან წყალს!

მოხუცი ქალი ეხვეწება მუშებს:

— ჯართი გაიტანეთ, კარებთან რომ ყრია ძველი რადიატორები!

— ცოტაც მოითმინე, დედი, ყველაზე დიდი ჯართი გატანილია: ალმასკომის თავმჯდომარე მოხსნეს, მაგის გატანას რა უნდა!

გურული „დოსაფში" იყო მივლინებული კურსებზე, შეისწავლა ქიმიური თავდაცვა, უფროსი ეკითხება:

— მიდიხარ უკვე?

— მივდივარ! — უპასუხა,

— გადმოიწერე პროგრამა?

— რასაკვირველია!

— ხალხი კარგადაა მომზადებული?

— კარგად, ისე კარგად, ომი რომ არ დაიწყოს, გაგიჟდებიან მგონი!

მარიამ კვაჭაძე

22
14.II 91

ულუფუსი იუმორი

„სამი მუშკეტერი"

ბატონმა დაიკემ, რომლის ცოლმაც სამი ტყუპი გააჩინა, მეგობარს უთხრა:

— მეუღლე ფეხმძიმედ რომ იყო, „სამი მუშკეტერი" წაიკითხა და ალბათ ამან იქონია გავლენა.

— ღმერთს მადლი, რომ „ორმოცი თუთიყუში" არ წაუკითხავს! — გაუღიმა თანამოსაუბრემ.

პირადული საქმე

—ძაღლი რატომ ვერ გეწევა? — ჰკითხეს მგელს.

— სრულიად უბრალოდ: ძაღლი თავისი პატრონის ბრძანებით გამომეკიდება ხოლმე, მე კი ჩემს ტყავს ვიცავ.

არითმეტიკის გაკვეთილზე

— თუ თითო ქალი დღეში ერთ კაბას კერავს, მაშინ ორი ქალი ორ დღეში რამდენს შეკერავს? — ჰკითხა მასწავლებელმა პატარა ჰაინცს.

— ნახევარ კაბას, ბატონო მასწავლებელო!

— გაკვეთილი არ მოგიმზადებია და მიმატება არ იცი! — უთხრა მკაცრად მასწავლებელმა.

— მიმატება როგორ არ ვიცი, — მიუგო მან, — მაგრამ მე ქალების ზნე და ჩვეულებასაც კარგად ვიცნობ. როცა ორი ქალი ერთად მუშაობს, ისინი იმდენს უბედობენ, რომ ორ დღეში ნახევარ კაბასაც კი ძლივს შეკერავენ!

ოქროს ქორწილი

— დღეს როგორ მორთულ-მოკაზმულხარ, ჩარლი?

— ოქროს ქორწილს ვიხდი!

— ხუმრობ?! შენ ხომ სულ ხუთი წელია, რაც ცოლი შეირთე?!.

— მაგრამ ეს ხუთი წელი ჩემთვის მთელ ორმოცდაათს უდრის!

სამწუხარო ამბავი

— ჩემი ქმარი მეზღვაურია. წარმოიდგინეთ, წელიწადში თერთმეტ თვეს ზღვაშია და მხოლოდ ერთ თვეს არის ხმელეთზე!

— ო, ქალბატონო, წარმომიდგენია როგორ იტანჯებით!

— არაფერია, ის მეხმარება, რომ შვებულების ნახევარს მშობლებთან ატარებს!

გაურკვევლობა

— კაპრალმა ოთხი დღე-ღამე ჰაუპტვახტში ჩამსვა! — შეხჩივლა ახალწვეულმა თანამემამულეს.

— რისთვის?

— არ ვიცი, მაგრამ მათგან ორი დღე-ღამე სწორედ მაგ შეკითხვისათვის დამიმატა!

სასამართლო პროცესზე

— მითხარით, როდის დაიწყო ჩხუბი თქვენსა და თქვენს მეუღლეს შორის? — ჰკითხა მოსამართლემ ქალბატონ დაიკეს.

— ათას ცხრაას სამოცდათოთხმეტი წლის თორმეტ აგვისტოს, თქვენო კეთილშობილებავ!

— ასე ზუსტად როგორ დაიმახსოვრეთ თარიღი?

— ეს იყო დაქორწინების დღე!

ასაკობრივი გამოცდილება

— ათი წლის წინათ რატომ არ ატარებდით სათვალეს? — ჰკითხა თვალის ექიმმა ხნიერ პაციენტს.

— იმიტომ, რომ მაშინ ჯერ იმ ასაკს არ ვიყავი მიღწეული, როცა ცნობისმოყვარეობა პატივმოყვარეობას აჭარბებს.

საფრთხე

ახალწვეულმა ნილსონმა ახეულის ფელდფებელი დახრჩობას გადაარჩინა.

— გმადლობ, ნილსონ, ხვალ მთელი ახეულის წინაშე მადლობას გამოგიცხადებ!

— გეხვეწებით, აგრე არ მოიქცეთ, ბატონო ფელდფებელო, თორემ კარცერს ვერ ავცდები!

ეჭვიანობა

ერთი ქალი ყოველდღე სინჯავდა თავისი მეუღლის პიჯაკს და ყოველი პაწია თმის ღერის აღმოჩენისას ეჭვიანობის სცენებს უმართავდა. ერთ დღეს მან თმა ვერ იპოვა და წამოიძახა:

— აი, კონრად, სადამდე მიხვედი: ქაჩალი ქალებიც კი აღარ გეზიზღება!

გამოცდა

სტუდენტი აუდიტორიიდან გამოვიდა. ამხანაგები შემოეხვივნენ:

—— ჩაბარე?

— მგონი.

— რა გკითხა?

— აბა, რა ვიცი, ის ხომ ინგლისურად მეკითხებოდა?!

საკამათო საკითხი

— აბა, როგორა გაქვს საქმე ოტოსთან?

— კარგად. ჩვენ მხოლოდ უბრალო რამეზედა ვკამათობთ. მე მინდა, რომ ქორწილში თეთრი კაბით ვიყო, მას კი საერთოდ ცოლის შერთვა არ უნდა!

უნდობლობა

— ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი ახალი პიესის პრემიერაზე არ ბრძანდებოდით. ხალხს სალაროებთან სულ დაკა-დაკა ჰქონდა!..

— მერედა, მოახერხეს ფულის უკან მიღება?

კეთილმოწყობილი სამუშაო

— მალაზიის შესახვლელთან კარავი რატომ დგას?

— ღამის ყარაულს ხმინავს ხოლმე.

გერმანულიდან თარგმნა
ზოთა ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი „ნიანგი" №21-22. (1848). ნოემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ხოლკჩაძე

სარედაქციო კოლეგია.

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ხარითონი, რევაზ თევზაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი). **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამხონაძე, ხეფან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფწიფაძე.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

ჩადაეცა ასაწყობად 4. 10. 91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 01 92 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,6. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". შეკვ. №1816. ტირ. 73 000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარ. რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების— 93-49-32, რედაქტორ-ლიტ მუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Типография журнально-газетного издательства Грузии «Сампоблло». ул. М. Костава № 14.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76187

7-91

91-22

ეროვნული ლოტერეა

— ააშენა ღმერთმა „მარებელი“! მისი საშუალებით გაგიცანი, ჩემო ლულუ, ცხოვრების თანამგზავრად აგირჩიე, ოღონდ, იცოდე, მტერს არ ხძინავს და, ჩემი საცოლე რომ ხარ, არსად დაგცდეს!

— რას ამბობ, ჩემო კორნელი?! სწორედ „მარებელის“ საშუალებით გავთხოვდი სამჯერ, მაგრამ არავისთვის გამიმხელია!

— ქალო, მეხუთედ აპირებს ჩვენი ქალიშვილი თურქეთში წასვლას?! თავი არ მომაკვლევინოს!..

— ქართულად მე ვერაფერს ვაგებინებ და თურქულად შენ უთხარი!



— ზესტაფონი მოიგებს თუ სამტრედია?

— მსაჯი თუ ქუთაისელია, „ნიჩიას“ ჩააწყობენ!

თემები მ. მერკვილიშვილისა

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР